# კვალი

წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი | მეთორმეტე

№ 1 | ხუთშაბათი, 1 იანვარი 1904 წ. | № 1

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საეკლესიო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბაა.

რედაქციის კანტორა ღიაა ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცხადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი ორი შაური.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.



**შინაარსი:** ძველი წელიწადი გავიდა, გაუმარჯოს ახალ წელს! ყვირილელისა.—საახალწლო მოთხრობა, ნ. მენაბდიანცისა.—საახალწლო, კორიენტელისა.—ახალწელიწადს, ბ. ახოსპირელისა.—უსახელო (ესკიზი), ია ეკალაძისა.—გასული წელი ჩვენში, არ. რაჟდენიძისა.—რუსეთი 1903 წელს.—საგლეხო კანონმდებლობის მომავალი რეფორმის გამო, О—ъ С—ъ.—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, ა. წულუკიძისა.—კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს, თარგ. ელიავასი.—განცხადებანი.



**მიიღება ხელის მოწერა**

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი **„კ ვ ა ლ ი“** მეთორმეტე

**გამოვა 1904 წელსაც**

ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

**გაზეთის ფასი**

**ტფილისში:** ერთი წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. 50 კაპ., სამი თვით—2 მ. თითო ნომერი—15 კაპ.

**ტფილისს გარეთ:** ერთი წლით ღირს 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

ტფილისში—«წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლებში).

**ტფილისს გარეთ:**

ქუთაისში—მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათუმში—სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალსენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველსენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთ ადრესები გარკვეულათ დაწერილი გამოგზავნონ.

ადრესის გამოცვლა თბილისს გარეთ ღირს 40 კაპ.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.**


## ძველი წელი გათავდა, გაუმარჯოს ახალ წელიწადს!

Მდიდარი შინაარსით, მოუსვენარი, შფოთიანი და მღელვარე ძველი წელი გათავდა და მოწყდა დროთა ბრუნვას. და მის მაგივრათ იშვა ჯერ უცნობი ახალი წელი, სიცოცხლით სავსე და მჩქეფარე სისხლით ძარღვებში, და შეება ცხოვრების უღელს.

მაგრამ ეს უცნობი მხოლოდ ნახევრათ არის უცნობი, ის ორივე ფეხით ძველის მხრებზე დგას, მისი მემკვიდრე, მისი პირმშო შვილია.

რა იყო ძველი წელიწადი? რა შეამუშავა, რა წამოაყენა მან წინ? რა გადასცა მან ახალ წელიწადს?

გასულმა წელმა ნათლათ გამოაჩინა ის, რასაც კარგა ხანია, ჯერ შეუმჩნევლათ, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო ცხადათ ამუშავებდა ცხოვრების სიღრმეში მთელი რიგი წინა წლებისა. მშრომელ ხალხში შეგნების განმტკიცება, მისი ერთობის მის მოქმედებაში გაჭედვა და ერის ამ ნაწილის წინ წამოყენება,—აი, რა შეასრულა გასულმა წელმა ყველა წინა წლებზე უფრო ცხადათ და მით ყველაზე უფრო ღრმა კვალი დააჩინა მთელ ჩვენს ცხოვრებას. ♂ აი, ერის ამ ნაწილმა, შეგნებულმა ხალხმა, გასულ წელში დაჩრდილა ყველა დანარჩენი ნაწილები, მისმა მოქმედებამ მიიპყრო საერთო ყურადღება, გაალვიძა საზოგადოების ყველა ნაწილი და აამუშავა ყველას გონება. ვის შეჰყურებდენ გასულ წლის განმავლობაში, ვიზე ლაპარაკობდენ, ვის მოქმედებას უკვირდებოდენ? ეს არ იყო თავად-აზნაურობა მისი ბანკით, ეს არ იყო „ინტელიგენცია“ მისი „რიგიანობის“ დროშით, ეს იყო ხალხი, შეგნებული, თავის ინტერესების დამცველი, რომელმაც მთელ ცხოვრებას ახალი კილო მისცა. და მოდი ერთი, ნუ დაუკვირდები იმას, მოდი ერთი, ნუ ილაპარაკებ მაზე, ვინც ძალათ აალაპარაკა თავის თავზე მთელი ქვეყანა; მოდი ერთი, [illegible] ვინც შენ თვალ წინ ისტორიას ქმნის.


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე ის, რაც წინათ არსებობდა როგორც ლტოლვილება, როგორც პრინციპი, გასულ წელს აქეთ განხორციელებულ ფაქტათ გარდაიქცა: ერის „მაღალმა ნაწილებმა“ დაკარგეს გავლენა, მათი კითხვები, ერთ დროს „საქვეყნო“ კითხვებათ ცნობილი, დღეს აღარავის აინტერესებს. გავლენა გადავიდა მშრომელ ხალხის ხელში და მისმა მოქმედებამ მიიპყრო საერთო ყურადღება.

თვით ხალხში ძველმა წელმა გაამაგრა და გააღრმავა კლასობრივი შეგნება, და ეს ნათლათ გამოიხატა მშრომელ ხალხსა და გაბატონებულ ნაწილებს შორის ურთიერთობის გამწვავებაში... ამ შეგნებას ხელი შეუწყო სამეურნეო კრიზისმა, რომელმაც კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა სწორეთ იქ გახადა ყველასათვის თვალსაჩინო, სადაც ეს ყველაზე ძნელი შესაგნებია,—სოფელში. და კლასობრივ ინტერესების მეტ შეგნებას თან მოყვა, როგორც აუცილებელი შედეგი, ეროვნულ განცალკევების მეტი შერყევა. გაერთიანება სხვა ტომების ხალხთან, შეუგნებელ ნაწილებში ეროვნულ უნდობლობის გაფანტვა, ერთი სიტყვით, დანგრევა იმ ზღუდეების, რომელიც ამართულია სხვა და სხვა ერის მშრომელ ნაწილებს შუა,—აი საით გადადგა შესამჩნევათ ნაბიჯი ჩვენმა ხალხმა გასულ წელს... მან ძმურათ გაუწვდინა ხელი სხვა ტომის ხალხს და საქმით დაუმტკიცა თავისი თანაგრძნობა გაჭირვებაში...

აი, ყველაფერი ეს შესძინა გასულმა წელმა ჩვენს ხალხს და ჩვენს ცხოვრებას. აი, ეს გადასცა მან ახალწელიწადს.

და თან გადასცა ის საერთო მწვავი კრიზისი, საზოგადოებრივ მოუწყობლობისგან წარმომდგარი, რომელიც თანდა თან ძლიერდება და დღითი დღე უფრო და უფრო აუტანელი ხდება... კრიზისი — როგორც გადასაწყვეტი კითხვა, მშრომელი ხალხი — როგორც ერის წინ წამოყენებული, მომქმედი ნაწილი, აი ძველი წლის ანდერძი, რომელიც უნდა მიიღოს ახალმა წელმა. შესძლებს თუ არა ახალი წელი ანდერძის შესრულებას? თვითონ გახსნის კვანძს, თუ შემდეგ წელს გადასცემს ანდერძათ კიდევ უფრო გამწვავებულ კრიზისს, კიდევ უფრო გათვითცნობიერებულ ხალხს? აი კითხვა, საითკენაც მიილტვის უნებლიეთ ყველას გონება, აი, რის პასუხს მოელის ყველა—დიდი და პატარა—მოუთმენლათ, სულგანაბული...

და ჩვენც მოველით, ჩვენც ვოცნებობთ, ჩვენც ვიმედოვნებთ. რომელი წელი გაამართლებს ყველაფერს ამას,—ჩვენ ეს არ ვიცით. და ის კი ვიცით, რომ ეს შორს აღარ არის, რომ ჩვენი მოლოდინი არ არის უნიადაგო, იმედი—უსაფუძლო, ოცნება—უნაყოფო, რომ მალე დადგება წელი, რომელიც შეასრულებს და სინამდვილეთ გადააქცევს მას, რაც ზოგ ურწმუნო ფილისტერს სიზმარშიაც არ მოსჩვენებია.

და აი, ამიტომ ვეგებებით ახალ-წელიწადს მხნეთ და სიხარულით. მომავალი ჩვენია და ჩვენ გვიყვარს ეს მომავალი.

ძველი წელი გათავდა, გაუმარჯოს ახალ წელიწადს!

ყვირილელი

## საახალწლო მოთხრობა

(ვ. ფაფაზიანცისა. თარგმანი სომხურიდან)

სულელობაა და ძალიან ბრიყვული ჩვეულებაა, როცა მუდამ წელს დღევანდელ დღეს ხალხნი ერთმანეთს შეხვედრის დროს „ახალ წელს, ახალ ბედს“ ულოცავენ. რა არის მისალოცი? განა წელიწადი ჩვენ მილოცვას ელოდება, რომ ბედიღბალი გამოაჩინოს და დაარიგოს? ან, შეცდომა არ არის ამნაირი სიტყვებით შეხვედრა ერთმანეთის? უმჯობესი არ იქნებოდა, რომ დღეს ხალხი შეხვედრის დროს ეუბნებოდეს ერთმანეთს:

„— არ კმარა, ძმაო? ნუ თუ წელსაც უნდა მჭამო?..“

მაგრამ მე ესეც მეტი მგონია; იმისთვის რომ, თუ კაცნი ერთმანეთს არ სჭამენ, არ გაძიძგნ-გაბტყვნიან, ისე ვერც იცხოვრებენ და ვერც გასუქდებიან. აი, მე თქვენ ახლა მოგითხრობთ, თუ როგორ შეჭამა ერთმა კაცმა თავისი ძმა სწორეთ ეგრე, ერთ ახალწლის დღეს.

... წარსულ წლებში ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი გამხდარი კაცი, ახლა ის მსუქანია, იმისთვის რომ ისწავლა თავის ამხანაგების ჭამა. არაფერი ასუქებს კაცს ისე, როგორც ამხანაგის ხორცი. დაე, სცადონ გამხდრებმა!

მაშ აგრე, წარსულ წლებში ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი გამხდარი კაცი, რომელიც მუდამ მშიერი იყო. ახლა ის მაძღარია, იმისთვის რომ დღე მუდამ კაცის სისხლსა სვამს.— ვერაფერი აძღებს კაცს ისე, როგორც ძმის სისხლი—სცადონ მწყურვალებმა!

ეგრე, წარსულ წლებში ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი გამხდარი კაცი, რომელიც მუდამ მშიერი იყო და ღარიბი. ახლა ის მდიდარია, იმისთვის რომ დღე-მუდამ აცარიელებს თავის ძმის ჯიბეებს. არაფერი ამდიდრებს კაცს ისე, როგორც ამხანაგის ჯიბე.—სცადოს ღარიბმა!

დავუბრუნდეთ მოთხრობას. წარსულ წლებში ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი გამხდარი კაცი, რომელიც მუდამ მშიერი იყო, მუდამ ღარიბი, და მოწყალებას თხოულობდა ქუჩებში. ახლა ის მოწყალებას ფანტავს ქუჩებში, იმიტომ რომ არაფერი უხვევს კაცს სახელს ისე, როგორც ამხანაგისაგან გამოწოვილ ზედ-მეტი სისხლით ქველ-მოქმედების გაწევა. სცადოს პატივის მოყვარემ!

მაშასადამე ეგრე. წარსულ წლებში ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი გამხდარი კაცი, რომელიც მუდამ მშიერი იყო, ღარიბი, მოწყალებას თხოულობდა ქუჩებში, წვებოდა სანაგვეში. ახლა ის წვება დარბაზ-პალატებში, იმიტომ რომ არაფერი ხდის კაცს დარბაზ-პალატების პატრონათ ისე, როგორც ამხანაგის სანაგვეში გადაგდების ხელობა.—სცადონ სიტკბოფუფუნების მსურველთა!

მაგრამ ბოლოს მეტყვით მე: რასა შვრები, ბატონო მწერალო? შენ ჯერ ჩვენთვის არ გითქვამს, თუ როგორ შეჭამა ერთმა კაცმა ახალ წლის დღეს თავის ძმა. მაგრამ გეტყვით თქვენ, ბ. მკითხველო, რომ მე უკვე გიამბეთ თქვენ, თუ როგორ დღე-მუდამ კაცები სჭამენ თავიანთ ძმებს. თუ თქვენ ჰპოვებთ, რომ კაცები ახალ წლის დღეს უფრო ინდობენ და იცოდებენ ერთმანეთს და თავიანთი მზგავსის სისხლით არ სუქდებიან და სქელდებიან...

მაშინ მეც გიამბობთ თქვენ, თუ როგორ მარტო ერთმა კაცმა შეჭამა თავისი ძმა ახალ წლის დღეს...

მაშასადამე, მოგილოცავთ ახალ წელს, თქვენ, ჩასუქებულნო, ჯანმრთელნო, მდიდარნო და დარბაზებში მოსვენებულო ბატონებო!! ჭამეთ თქვენი ამხანაგები, დალიეთ მათი სისხლი!.. დააგორეთ ისინი სანაგვეებში და როცა დროს გატარება მოგინდეთ, ზნეობაზე სჯა-ბაასი გამართეთ...

ნ. მენაბდიანცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საახალწლო

### „მოამბე“

დრამატიულ-ისტორიულ-იდეალურ-კომიკური პოემა ერთ მოქმედებათ

(მიბაძვა სევასტი გაჩეჩილაძისა)

სცენა წარმოადგენს «მოამბის» რედაქციას.

**რედაქტორი** („მოამბეს“ დაჰყურებს).

ჩვენი მოამბე სწორეთ რომ
ცხოვრების გზა და ხიდია.

**ს. გაჩეჩილაძე** (შემოდის რევეულით).

მე დაგიწერეთ: „პოემა
შეფე სოლომონ დიდია.“

**რედაქტორი.**

რას ბრძანებთ?!. წაიკითხევით
საუკეთესო ადგილი.

**ს. გაჩეჩილაძე** (ფურცლავს რვეულს).

ეხლავე, ჩემო ბატონო!
ეგ ადვილია, ადვილი. (კითხულობს)
ცაგუნა. მე წავალ.
როსტომ. ბოლოს მე დამრჩა
„სასაქმებელი“ ძნელია...

**რედაქტორი** (აღტაცებული, ვერ ითმენს)

„სასაქმებელი“!.. ეგ სიტყვა
სანატრი, სასურველია;
მარტო ამისთვის დავბეჭდავ...
ოჰ, დიდი ნაწის პატრონო!

**ს. გაჩეჩილაძე.**

მარად გახსოვდეთ ავტორი...
მშვიდობით, ჩემო ბატონო! (გადის)

**რედაქტორი** (მარტო, დიდხანს დაყურებს პოემას)

ნოემბრის ნომერს გავბერავ,
ჩემო პოემავ, შენითა;
ყველასი განცვიფრდებიან,
გაჩეჩილაძის ენითა;
ხელის მომწერლებს შევიძენ,
დროს გავატარებ ლხენითა.

(ავანსცენაზე წამოვა და შესძახებს: „ჰოი, პოემავ!!“ უცბათ ფარდა დაეშვება და კინკრიხოზე დაეტაკება)

(დასასრული იქნება)

### „ივერიას“

აღსდექ, გმირთ-გმირო, მოისმის
ხმა ისტორიულ ჟესტისა!

### „ცნობის ფურცელს“

სამივეს ერთათ ემხრობი,
კრუხს, წიწილას და ძერასა...
რა უნდა ველაპარაკო
შენებრივ გაიძვერასა?!

### „მოგზაურის“ რედაქტორს

„როდესაც ირგვლივ მთლათ არე-მარეს
ბნელი წყვდიადი მოეფინება“...
იცოდეთ, მაშინ მე და მოგზაურს
ცრემლები გვდის და თან გვეძინება.

### სახალხო თეატრის სექციას.

ჩვენ აგაცილებთ თეატრო,
ტანჯვას და გასაჭირსაო;
თუ მოგაბრუნეთ, იცოდე
„ვაგზლისკენ“ გიზამთ პირსაო.

### თბილისის გამგეობას

რაა თქვენთვის საქმე, წინ-სვლა,
ხალხის ჭირი, ხალხის ქვნესა...
ვიცით გოდოლს ააშენებთ,
თუ გააგდეთ გარეთ პრესა.

### ბათუმელებს.

შევარდენნო, მოგილოცავთ
ახალ-წელს და ახალ ძალას;
აბა, ვინძლო...მარჯვეთ დახვდით,
„ახალ სტუმრის“ ჩათაბალას.

### ქუთაისის სტუდენტებს.

ჩარნ ბაცაცებს წაათილეს
სტუდენტებმა გაჭრობაში...
უიღვენ მუნდირს, სახელს, პატივს
საყდრის გვერდზე, დიდ ბულვარში.

### ქართულ თეატრს

გამოამზევე მამი შენის მზეს,
არხივში კიდევ რამე თუ არი...
დღე ილვალოს ხალხი, ცხოვრება,
გასაგრძე ძველი რეპერტუარი.

### ზდანოვიჩს

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უძევთ დიდი ზღვარი“...
პატიოსნათ რიცხვში ჩაგთვლით
თუ გაგრეცხავს ნიაღვარი.

### ბატონ*) გოგიჩაიშვილს.

საზოგადო მოღვაწე ვარ,
დინჯი, სულის სწორი, ჩვიაჲი:—
ერთი ცოლი შევირთევი
და გავზარდე ორი შვილი.

კორიანტელი.

---

## ახალწელიწადს

### I

რა რიგათ ცივა წყეული,
საცაა გავიყინები;
თითები თოვლათ გადმექცა,
ამომელეწა კბილები.
ცას რადა ღმერთი გაუწყრა,—
არ შემიწყნარა მუდარა,
ჩემს სიბეჩავეს ზედ დართო
რისხვა და გლოვის სუდარა.
წყეულიმც იყავ!—„გამშორდი,
ენა გაქვს მეტათ მწარიო,
მე მინდა ჩემი მორჩილი,
ჩემი ჭკვის მიმდევარიო.“
რა ვუყო, თუ კი არ ძალ-მიძს
ფარისევლობა, გველობა;
მელა არა ვარ და კაცმა
ვით შევძლო კუდა-მელობა!..
მე სხვანიც მძულან, სხვის სურვილს
მელებრ რომ ემონებიან
და ნეტარების წყაროსა
ხარბათ სმენ, ეწაფებიან.

---

*) უბატონოთ სიტყვას აღარ მოგიბრუნებთ.

შენიშვნა ერთი ჭაბუკისა

მიჯობს გამთოშოს სიცივეში,
ვერ ვნახო დღეი მზიანი,
ვიდრე შირადათ მე დავსტკბე,
სხვას მივაყენო ზიანი.

II

ჩემო შვილებო, ვინ იცის,
გშიათ გწყურიანთ და სტირით;
წყეულით დაბადების დღეს
და მამის შავ ბედს დასტირით.

ვაჰმე, თუ ფანჯრის მინები,
ისევე ჩამტვრეულია
და გასათბობათ ოთახის
ყველა ცდა დაკარგულია.
მეც თქვენებრ მცივა... ძალზე თოვს,
შორს ქარიშხალი უბერავს
და ცა-კი თითქოს ქვეყანას
გლოვისა ძაძას უკერავს.
ნუ შემაჩვენებთ... ვერ შევძელ...
არ ვარ ჩვეული მონებას;
მე ჩემს სამართლეს ვერ ვუძღვნი
ფუფუნებას და ქონებას.
რაიმე საქმეს ვიშოვი,
შეგაშმევთ ლუკმას მართალსა...
განა სულ ასე ვიკვნესებთ?—
ზაფხული მოსდევს ზამთარსა.
და დღეს-კი, ახალ წელიწადს,
დეე დავუხვდეთ მშიერი...
ვინც ტანჯვას გაუმკლავდება
ის არის სულით ძლიერი.

ბ. ახოსპირელი.

# უსახელო

(ესკიზი)

. . . . დღეს სამოცდა ხუთმეტი წლისა შევსრულდი — ბებერი ვარ, დახავსებული! სარკეში რომ ვიხედები, ჩემი თავი მყვე მაშინებს: თეთრი, მაგრამ ალაგ-ალაგ ჩაყვითლებული თმა-წვერ-ულვაში ისე ამბურძგვნია, გეგონობათ თავისს დღეში არ დამევარცხნოს, სახე საცოდავათ დამღარვია, თვალები ჩაცვივნული და უსიცოცხლო მაქვს, წამწამები დიდი ხანია გამცვივდა და წელში ხომ ამ ოცი წლის წინათ მოვიკაკვე. მიკვირს რატომ არა ვკვდები! მაგრამ ან კი რა მეჩქარება? სიკვდილს ადამიანი ყოველთვის მოესწრობა. ოქვენ სიცოცხლე ბრძანეთ, სიცოცხლე აზრიანი, ადამიანური თორემ...

მე-კი ვსულდგმულობ, როგორც ბურანში გახვეული, ცეცხლ-პირას მოკუნტული კატა! ახალ-გაზრდებისა აღარა მესმის-რა და ჩემი ხნისანი ხომ ჩემზე უარესათ გამოყრუებულან. თითოეულ მათგანს სიკვდილი, სულის ცხონება ლა აკერია პირზე, თუმცა, ამავე დროს, ყველას ენანება ამ ოხერი წუთის-სოფლის მიტოვება. რატომ? იმიტომ, რომ სიკვდილის შემდეგ მათ დაძაბუნებულ სხეულს მატლები გამოხრავენ, ხოლო სული ტარტაროზებს დარჩებათ. სამოთხის ღირსი არც ერთი ადამიანი არ არის!

არა! ჯერ არ მინდა სიკვდილი! მე მსურს კიდევ რამდენიმე წელიწადი,—თუნდა მთელი საუკუნეები, — ვიჯდე ამ ჩემ თბილ ბუხართან, ვსუსტავდე ყალიონს და ვოცნებობდე... რა ვუყოთ, რო ცხოვრებამ გამრიყა!

ცხრათ წელში მოხრილი, მთელი დღეობით ვგდივარ ბუხარ-წინ და ცეცხლს მკერდს ვუფიცხებ. მინდა სითბომ, სიცოცხლემ შეატანოს ჩემ გაყინულ გულამდის და იქ დაბუდებული ტკბილი და მწარე მოგონებანი ააფუთფუთოს, წამოლალოს. სიბერე ნაცარია, ფერფლია, რომელიც გადაჰფარებია დრო-მოჭმულის ადამიანის გულს. გადაჰქექეთ ეს ფერფლი და გული, როგორც ნაღვერდალში ჩაფლული ნაკვერჩხალი, ისევ კვნესას, ისევ ცალს დაიწყებს!

ერთ ჩემის კბილის კაცს ვიცნობ, ჩემზე უარესათ დაჩანაკებულა, მაგრამ ამ სიბერის დროს აფიცრობა გამოიკრა, და ისე დაიფხორება, გეგონებათ, აპელატები დედის მუცლიდანვე დაჰყოლიაო.

— საიდან იშოვე — მეთქი, პეტრე, აფიცრობა? ხშირათ ვკითხავ ხოლმე პეტრეს, რადგანაც ეს კითხვა ის ქარია, ის შებერვაა, რომელიც მის ხსოვნას დროთა-ბრუნვისაგან გადაფარებულ ფერფლს აცლის, აშორებს.

— ყმაწვილობისას, ჩემო ეფრემ, შესანიშნავი ვაჟკაცი, გმირი ვიყავიო. ისე ვბალთავდი ლეკებს; როგორც სტაფილოს... რუსებს რო გუნიბის ციხის აღება უნდოდათ და ვერსაიდგან-კი ვერ მოუდგენ, მე... მე ვუზურგულე მთელ როტას და ისე ავბობღდენ ციხის კედლებზეო, დროებას დაუდგეს თვალი, თორემ, ახლა, კუდა-აფიცერი-კი არა, გენერალი უნდა ვიყო, გენერალიო! — რიხიანათ მიპასუხებს ხოლმე პეტრე და დოინჯ-შემოდგმული ისე მიბღვერის, თითქოს მე ვიყო დამნაშავე, რომ პეტრე გენერალი არ არის.

მიყვარს ამ დროს მისი მზერა! ღვთაებასავით გაბადრული მისი სახე თურაშაულივით ღაჟღაჟდება, შუბლი ეშლება, მოკუზული წელი უსწორდება, ყმაწვილური გამომეტყველება ეძლევა, სიცოცხლე სჩქეფს მის ძარღვებში!

რას დავსდევ, მართალს ამბობს თუ არა პეტრე, მე ის მანუგეშებს, რომ ადამიანებში სიცოცხლისათვის თავგამოდება არა კვდება და ეს ბრძოლა განკარგებისათვის, ერთხელაც იქნება, ყველას დიდ ბედნიერებას მიანიჭებს. მაშ... იცოცხლეთ, ყმაწვილებო, იბრძოლეთ!..

მუქთა ყლაპია, უქნარა მეცა ვკმარვარ. მართალი მოგახსენოთ, არც-კი ყმაწვილობაში ვიყავ ჩინებული. ერთათ-ერთი ჩემი ვაჟკაცობა იმაში გამოიხატა, რომ სრული პენსია დავიმსახურე და ახლა,—ამ სიბერის დროს უზრუნველათა ვცხოვრობ.

თვისა და თვის თავზე დავეყრდნობი ხოლმე ჩემს ყავარჯენს და მოსაგლეჯი კბილივით მივფამფალებ ხაზინისაკენ ფულის მისაღებათ, ადამიანის სახის გასარჩევათ მარჯვენა ხელს კანკალით შუბლზე შემოვიდგამ ხოლმე და მთელის საათობით თვალ დაღებული შევყურებ, რომ ამოვიცნო მისი ვინაობა. მზის სხივებზე თვალებსა ვჭუტავ და ყველას ვერიდები, რომ არ დამეჯახონ და ძირ-გამონგრეულ ქოხივით არ წამომაპირქვაონ. მებრალება ამ დროს ჩემი თავი და ხავხავით ვიძახი: „სადა ხარ, შე ოხერო სიკვდილო, რათ დამივიწყე-მეთქი!"

სიკვდილი მაშინ უფრო მენატრება ხოლმე, როდესაც ფულის მიღების მომლოდინე ხაზინადრის მაგიდასთან ვდგევარ. ღმერთო ჩემო! სად არიან ამდენი ბებრები, დახავსებულები, ბრმები, კოჭლები, ყრუები, ჩერჩეტები. მაგრამ ესენიც ხომ ჩემსავით „პენსიონერები" არიან, ამათაც მოუნახავთ ხაზინა ფულის მისაღებათ! ეხ, რამდენი მუქთახორა ადამიანი იკვებება სხვისი შრომით. განა რა გაგვიკეთებია ქვეყნათ, რითი შეგვიმსუმბუქებია სხვისი ცხოვრება? არაფრით!.. პირ იქით, რაც ჩვენ უაზრო ქაღალდები დაგვიჯღაბნია, რაც ჩვენ ცრემლი დაგვიღვრია და დაგვიღვრევინებია სხვისთვის, რაც ჩვენ ქედ-დაბლობა და არა ადამიანობა გამოგვიჩენია ჩვენის სამსა-

ხურის დროს, ყველა რომ ერთათ დავაგროვოთ, ერთათ დავახროვოთ, მგონი ხმელეთმაც ვეღარ გაუძლოს და ჩაინგრეს, როგორც დაძაბუნებული შენობის ჭერი. ოხ, ნეტა ახლა ყველანი გავწყდეთ-მეთქი! ვფიქრობ ხოლმე და თან-კი ხაზინადარს მივჩერებივარ. ჩემ მწარე ფიქრებში გართული წვერებს ვაცანცარებ, თავს ვაქნევ, თვალებსა ვბლიტავ და გუნებაში ვილანძღები... ხაზინადარს-კი ჰგონია, რომ ვლოცულობ და ღმერთს ვავედრებ მის დღეგრძელობას მო[illegible]ისათვის...

სამაგიეროთ როდესაც ბუხარ-წინა ვზივარ ხოლმე და გაყინულ ძვლებს ვითბობ, აღარ მინდა სიკვდილი, აღარ!

ცეცხლის მადლიანი სითბო ნელ- ნელ იფინება ხოლმე ჩემს ოთახში ალ მ·დებული მუგუზლები რაღაც საოცნებო ხმით ზუზუნებენ, ტკაცუნობენ, თვის სიცოცხლეს სწვავენ სხვის საბედნიეროთ და უხარიათ, ჩაიმღერიან. მეც გადავეყუდები ხოლმე სავარძელში და წარბ-შეკრული ყურს ვუგდებ ამ საიდუმლო ხმებს. როგორც ჯანღი მთებს ისე დამაწვებიან ხოლმე ფიქრები ჩემის წარსულის ცხოვრებიდან გამოწვეულნი და მთელი საათობით ჩემსავე თავს ვებუტბუტები..

ჩემი წარსული რაღაც საარაკოთ, საოცნებოთ მეჩვენება. არავისათვის არ არის იგი საყურადღებო, მხოლოდ ჩვენთვისკი დაუსრულებელი სიზმარია, გზა გაუვლელი, დაბურული ტყეა. ეს ულრანი ტყე მოქარგულია ყვავილებით, ტურფა ქოროფებით, თვალ-უწვდენელ ხევ-ხუვებით, ანკარა და ჰჩქეფარე წყაროებით. მთელის ჩემის მოგონებით დავყიალებ ხოლმე ამ საარაკო, საოცნებო ტყეში. ხან აღმა დავდივარ, ხან დაღმა, ხან შიშისაგან კურდღელივით ყურებსა ვწურავ, ხან კი ხარირემივით ვყვირი, ვღრიალებ,—სატრფოს, საყვარელს ვუძახი..- აგერ სატრფო იგიც, ჩემი ფეფიკო, ჩემი ტურფა ფეფიკო გამოდგა სერზე, მწყაზარი თვალები მომაპყრო, ვარდისკონა ბაგენი გააპო, ჯეირანივით მაღალი ყელ-ყური მოიღერა და დამიშტვინა... სიცოცხლის ძალამ ფრთები შემასხა და თვალის დახამხამებაზე გავჩნდი ჩემ სატრფოსთან,. ალგზნებული ჩავეკარ მკერდში და ორივენი ნეტარებამ დაგვათრო...

ვკოცნიდით ერთმანეთს დაუსრულებლათ. თვალები, ყურები, შუბლი, ღაწვები, ტუჩები, თითის ხელის ფრჩხილებიც კი ათი-ათასჯერ გადავუკოცნეთ ერთმა მეორეს, მაგრამ მაინც ვერ ვძღებოდით. ჩვენ მარტო ერთმანეთის ხვევნა კოცნა არ გვაკმაყოფილებდა. ჩვენ გვინდოდა ჩიტებათ, მერცხლებათ გარდავქცეულიყავით, ჩვენ ვნატრობდით ფრთები შეგვესხმოგარდავქცეულიყავით, ჩვენ ვნატრობდით ფრთები შეგვესხმოდა, ფრთები საერთო, რომ ავფრენილიყავით მთვარეზე, იმ ცბიერ მთვარეზე, რომელიც მედიდურათ დანათოდა იმ დროს მიძინებულ ქალაქს და რომელიც უიმედოთა და შეყვარებულთა სანუგეშებლათ ასე ამაყურათ დასრიალებს ხოლმე ვარსკვლავებივით მოჭედილ ცის კამარაზე! ჩვენ გვინდოდა გავქცეოდით ქვეყნის ყბას, მოვშორებოდით ხალხის ჭორებს, გვინდოდა—სხვა საოცნებო ქვეყანაში გადავსახლებულიყავით, რომ საუკუნოთ ერთათ ვყოფილიყავით... მაგრამ...

აგერ წამომიქროლა ჩემზე უფრო ძლიერმა და მოხდენილმა და ახალგაზრდამ და თავისუფალმა ჩემი ფეფიკო ხელიდან გამომტაცა. დიახ! გამომტაცა მარტო ხელიდან, რადგანაც გულიდან ფეფიკოს სახსენებლს ვერავინ, ვერავინ ამომგლეჯს!

ფეფიკოს პირველი და უკანასკნელი კოცნა დღესაც ტუჩებს, მწვავს, დღესაც სიამოვნებისა და ნეტარების თავს ბრუს მასხამს .. რა ვუყოთ, რომ სხვას დარჩა, რა ვუყოთ, რომ ხელიდან გამიფრინდა!?.

ახლაც, აი, ამ წუთში, ფეფიკოს აჩრდილი ანგელოზივით შემომჯდარა ჩემის ჩიბუხის ტარზე... თავ დავიწყებით ვსრუტნი თუთუნს, გატაცებით ვეალერსები მის სახეს, მის აჩრდილს, გული ცეცხლით მევსება, ნაკვერჩხალივით მდუღარე ცრემლები ნიაღვარივით ჩამომდის დაღარულ ღაწვებზე, მაგრამ მისი სურათის მომზირალი მაინც ბედნიერი, მაინც კმაყოფილი ვარ!..

არა, არ მინდა სიკვდილი! გაუმარჯოს სიცოცხლეს, გაუმარჯოს უკვდავ სიყვარულს!!..

ია ეკალაძე.

---

## გასული წელი ჩვენში

1903 წელი ისტორიის სავანეში ჩაესვენა. მის ადგილს ახალი წელი იჭერს და ამ უკანასკნელს მან თავის სიკვდილის წინ უნდა ანგარიში ჩააბაროს. რა მოგვიტანა მან, რა გააკეთა და რა გასაკეთებელი დაგვიტოვა, რა იყო მაში ცუდი და რა მადლით მოსილი, რას ქონდა სიცოცხლის ნიშანი და რა სამუდამოთ უარსაყოფელია და მასავით ისტორიას ჩასაბარებელი? ვეცადოთ მივცეთ ამის პასუხი.

საზოგადოთ ეს წელი პირდაპირი გაგრძელება იყო წინა წლის, როგორც წელთ-აღრიცხვით, ისე ცხოვრების მიმდინარეობით. ის თითქოს პირია წინა წლის სურათის, მარა უფრო ფართოთ გადაღებული. რაც 1902 წელმა კითხვათ დააყენა და სუსტათ გამოსთქვა, ის მან უფრო მკაფიოთ და აშკარათ გამოხატა, გააფართოვა; რაც წინეთ ოდნავ ან ძალიან მცირეთ ჩანდა, ის ამან ყველასათვის ადვილათ დასანახი და გასარჩევი გახადა, და ასე გათვალისწინებული, განსაზღვრულ ფორმაში ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული დაუყენა ახალ წელს გადასაწყვეტათ შენ გაუსწორდიო.

პირველათ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ცხოვრების გამოფხიზლება, ხალხის გათვითცნობიერების აჩქარებული ზრდა-განვითარება. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხალხი ნელ-ნელა ერკვევა სადათას ძილს, იგნებს თავის თავს, თავის ინტერესებს, ეჩვევა მტერ-მოყვარეს გარჩევას, ერევა თავის ცხოვრებაში, უნდა ყველგან და ყველაფერში თავის კვალი დააჩნიოს, ერთი სიტყვით მას სურს ნამდვილი მოქალაქობრივი ცხოვრება დაიწყოს. მარა არასოდეს არც ერთ წინა წლებს არ უნახავს ასეთი გამოფხიზლება საზოგადოების, ხალხი იგნებს თავის მნიშვნელობას, და ანგარიშს აძლევს ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას. მას უკვე აღარ ეშინია ცხოვრების გამოურკვევლობის, პირიქით ის თამამათ, პირდაპირ თვალებში შეჰყურებს ცხოვრების ამოცანას, გამოგიცან, აწი ვეღარ ჩამყლაპავო. შეგნება დიდი სისწრაფით იზრდება, ფართოვდება და ანძრევს და ამოძრავებს მთელ ცხოვრებას, რომელიც ძველ, მობერებულ ქერქში ვეღარ ეტევა, სდუღს, ტრიალობს და გაშმაგებული მიილტვის წინ, უნდა გადათელოს მისი შემბორკველი ზღუდეები, გადახეთქოს გადაუვალი კედლები და ახალ კალაპოტში ჩამდგარმა გასწიოს წინ, წინ, მომავლისაკენ, განახლებისაკენ. დიაღ, ცხოვრება თავის კალაპოტში ვეღარ ეტევა, არსებული ზღუდეები მას ვერ ითავსებენ, ახალი ცხოვრება თხოულობს ახალ პირობებს, ახალ ურთიერთობას და ცხოვრება სდუღს... მისმა აჩქეფებულმა ნაკადულებმა შეარყიეს ძველი საზოგადოებრივი ცხოვრება, ყველგან მიწვდენ, ყველას ყურები დააფხეკიეს, სადათას ძილიდან გამოიყვანეს, და თავის გარშემო მიახედ-მოახედეს, ნახე, რა ხდებაო. თვით ცხვარზედაც უფრო წყნარი, უწყინარი არსება, როგორიც არის მივარდნილი სოფლის მცხოვრებელი და წვრილი მოქალაქე, რომელიც საზოგადოთ თავის ცხვირს იქით ვერას ხედავს და თავის კარმიდამოსთვის თავის ინტერესები ვერ გადაუცილებია, ისიც კი გაოცებული თვალებს აჭყეტს, ყურს უგდებს ცხოვრების გუგუნს, გრძნობს, რომ რაღაც ახალმა სიომ დაბერმა და უნდა მითი გულის სიცხე

გაიგრილოს. ფართო საზოგადოება თანდათან ეჩვევა თავის „მე“-ს შეგნებას და თხოულობს თავის ინტერესების დაცვას; ტყუილ-უბრალოთ თავის უფლებას სხვას აღარ აქელვინებს, უსამართლობის წინააღმდეგობას ეჩვევა და საქმეში გარევას წინანდებურათ აღარ უფრთხის. ასეთია საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა.

ცხოვრების ასეთ აღელვებულ მდგომარეობას და საერთო გამოფხიზლებას საერთო ეკონომიურ ურთიერთობის გამწვავებაში უძევს საფუძველი. მწვავე კრიზისი მეურნეობის ყველა დარგებში, მრეწველობის შესუსტება, სოფლის მეურნეობის დაცემა, რომელსაც შედეგათ მოყვა ხალხის დამშევა—აი მოკლეთ სურათი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის საანგარიშო წელს. შედეგები ასეთი მდგომარეობისა აუარებელი და მრავალ-ფეროვანია. განსაკუთრებით კრიზისმა სოფლის ცხოვრებას დააჩნია დაღი და შიგ ყველაფერი გადაატრიალა. გასულ წელს თუ შიმშილობა იყო, წელს უარესია. მოუსავლობამ ერთბაშათ წელში გაწყვიტა გლეხი და ის·ღონე მიხდილი, გამწარებული დაეძებს საშველს, ხსნას. რა ქნას, რით დაახწიოს თავი ამ გაჭირვებულ მდგომარეობას? მამა-პაპური მეოჯახეობა აღარ კმარა: ათას მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომელნიც მას ახალმა ცხოვრებამ წამოუყენა, ფულია და ფული საჭირო, ეს კი მას ყველჩზე ნაკლებათ მოეძევა. მოსავალი თანდა-თან კლებულობს, მიწის სიმცირე კი თანდათან იზრდება და ეს ორივე მიზეზი, ერთი მეორეზე გადახლართული, გლეხს უკანასკნელ მდგომარეობაში აყენებს. მცირე მიწას უნდა ბევრი გამოაღებინოს და თუ ვერ გამოაღებინებს, მოთხოვნილება მაინც კი უნდა დააკმაყოფილოს; თუ სხვა გზა არ აქვს, უნდა უკანასკნელი მიწის ნაჭერიც გაყიდოს, ან დააგირაოს. ამ ნაირათ მას მიწა ეცლება ხელიდან და მისი მდგომარეობა როგორც მესაკუთრის, სულ უფრო და უფრო კარგავს ფეხ ქვეშ ნიადაგს. ის სულ ერთათ მათზე დამოკიდებული ხდება, ვინც მიწის პატრონია, ვისაც ბევრი მამული მოეძევა. და რაც უფრო მატულობს მიწის სიმცირე და გლეხი ბოგანოს უახლოვდება, იმდენათ მიწათ-მფლობელთა და მათ შორის, როგორც მიწათ-მომქმედთა, გამწვავებული ურთიერთობა უფრო და უფრო უარესათ მწვავე ხდება. ხალხი კვნესის და გმინავს, კარზე შიმშილი ადგია, შინ წვრილშვილები ულუკმა-პუროთ ეხოცება. დამშეულია გურული გლეხი, დამშეულია მეგრელი, იმერელი, მოუსავლობას უჩივის ქართლი და კახეთი, ხიზანი და მესაკუთრე. ამას ზედ ერთვის ჩვენებურ არა მკითხე „კულტურგრეტერთა“, ძალათ მაცხონეობა, ადმინისტრატიული შევიწროება, ყოველ უფროსისაგან თავში ჩაფაჩუნება, რომელმაც სწორეთ ამ საანგარიშო წელს განსაკუთრებით იჩინა თავი, და თქვენ წინ იშლება სრული სურათი სოფლის გაღატაკების, გლეხის დაბეჩავების. აქედან წარმოსდგება ის, რომ თავის საკუთარ „კერის“ შერჩენაზე იმედ დაკარგული გლეხი სტოვებს თავის კარ-მიდამოს, სტოვებს ყველაფერს და ათასობით მიეშურება ქალაქისაკენ, ეგებ იქ მაინც გამიღიმოს ბედმაო. მარა ქალაქიც ვეღარ აკმაყოფილებს მას, იქაც მუშა ძალა საჭიროზე მეტია, სამუშაო არ მოიპოვება, ყველგან კრიზისია, შავი ქვის მთა-მადნებში, ფაბრიკა-ქარხნებში, და აი ამ უნუგეშო მდგომარეობის შედეგათ მათში იბადება და იზრდება უკმაყოფილება, თავის ბედის ჩივილი, არსებულის უარყოფა... აზლვავებული გრძნობა ეძებს გამოსავალ გზას, ეძებს, საით და როგორ უშველოს ასეთ ყოფა-ცხოვრებას, ასეთ ორ ცეცხლ შუა ტრიალს.

ამ ნიადაგზე, სხვათა შორის, იკიდებს ფეხს ხალხში ცარცვა-გლეჯვა, მტაცებლობა, მრავლდებიან „ყაჩაღები“. ნამდვილათ კი ეს ყაჩაღები ველურ ინსტინქტების დასაკმაყოფილებლათ ამდგარი ხალხი კა არაა, მას სისხლის ღვრის წყურვილით კი არ წაუვლია იარაღისთვის ხელი და ტყეში „ფირალათ“ გავარდნილა, არამედ ისაა ცხოვრების უკუღმართობისაგან გაბოროტებული, უნაწილოთ ნაპირზე გარიყული; მას გაუგებრობით, შეუგნებლობით და განუვითარებლობით საშველი ვეღარ მოუნახავს, ნამდვილი გზისთვის ვერ მიუგნია და ყაჩაღობისთვის მიუყვია ხელი. გაზეთები სავსეა ცნობებით, აქ ეკკლესია გატეხეს, აქ მონასტერს დაეცენ, აქ ბანკი გაცარცვესო და სხვ. ამ ძალათ ყაჩაღებს იჭერენ, ასამართლებენ, ციხით, კატორგით სჯიან, მარა ეს საქმეს არ შველის. ერთ პარტიას რომ ციმბირისკენ მიერეკებიან, მეორე პარტია იმავე დროს ახალ ცარცვა-გლეჯას ჩადის და მალე წინანდელის გზას მიყვება. მისი საფუძველი ცხოვრების სიღრმეშია დაფლული, ის მხოლოდ ამ ადუღებული ცხოვრების ქაფია, მისი შეუბრალებელი ტალღებისაგან შეხეფებივით გადმონარტყორცნი. ის ხალხის გაჭირვების პირდაპირი ნაყოფია. ამის უარესი გაჭირვება კი ჟამობის აქეთ არ მოსწრებია ჩვენს ქვეყანას ამნაირათ ცხოვრების აწეწ-დაწეწა, არევ-დარევა, მტრის შემოსევის გარეშე, არ უნახავს ჩვენს ისტორიას. ხალხი წყდება არა მტრის ხელით, არამედ უჩინარი შიმშილით. როგორ და როდის მიეცემა ყველა ამას დასასრული, როდის ჩადგება ისევ ჩვეულებრივ კალაპოტში ეს აფორიაქებული ცხოვრება, როგორი იქნება ეს კალაპოტი? აი კითხვები რომელნიც წარსულმა წამოაყენა და ახალ წელიწადს დაუყენა წინ გადასაჭრელათ. ამ ახალმა წელმა უნდა მოგვცეს ამის პასუხი.

კერძოთ გასულ წელს აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები: წლის დასაწყისშივე მოხდა ჭიათურის მრეწველთა კრება. მთელი კრება ჭიათურის მრეწველთა საბჭოს და მის მეთაურის ბ. ზდანდვიჩის მოღვაწეობის გარშემო ტრიალებდა. ურა უმრავლესობა თვალებ დახუჭული იცავდა ბ. ზდანოვიჩს, უფრო მცირე ნაწილი ოპოზიციაში უდგა, ეს ოპოზიცია სულ სხვა და სხვა ელემენტებისაგან შედგებოდა. და აი ამათ შორის გაიმართულ ბრძოლიდან ბოლოს გამარჯვებული ბ. ზდანოვიჩი დარჩა, მარა არა ზნეობრივათ, რასაკვირველია; ამ მხრით მან კიდევაც წააგო ბევრი რამ და თავის სახელს ჩრდილი მიაყენა. ქალაქების ცხოვრებაში როგორც ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს, ამ წელში თითქმის ყველგან ადგილი ქონდა მუშათა არეულობებს: ბათუმს, თბილისს, ბაქოს, ბალახანაში, მიხაილოვში და სხ. თითქმის ყველგან მუშებს პოლიციასთან შეტაკება მოუვიდათ. ხან აქ, ხან იქ, როგორც უფიციალურათ იუწყებოდენ, წყდებოდა მუშაობა და მუშები საერთოთ თხოულობდენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გასულ წელს გამოვიდა კანონი, რომლითაც სომეხ გრიგორიანთა საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც რამდენიმე ასს მილიონ მანათს აღემატება, ჩამოერთვა ეკკლესიას და ხაზინის გამგეობაში გადავიდა.

ადმინისტრაციის გაძლიერების ისტორიაში წარსულ წელს აღსანიშნავია, ის რომ ბათომის ოლქი გუბერნიათ გამოაცხადეს და ბათუმი საგუბერნიო ქალაქათ. ერთი ქუთაისის გუბერნიის მაგიერ, ორი გუბერნია გახდა ორი გუბერნატორით. ბათუმში ამასთანავე გაძლიერებულ წესების მტკიცეთ დასაცველათ შემოღებულ იქნენ მეეზოები, რომელნიც ყველა სახლის პატრონმა უნდა იყოლიოს. მათი მოვალეობაა სახლში მომსვლელ წამსვლელს თვალყური ადევნონ, შეიტყონ მისი ვინაობა, საიდან არის და სად მიდის, ამისთვის ისინი აწარმოვებენ საადრესო წიგნებს, რომლებშიაც უნდა აღნიშნონ ყოველივე ეს პასპორტის ან სხვა საცხოვრებელი დოკუმენტის შემწეობით, მათვე უნდა თვალყური ეჭიროთ, რომ სახლში მრავალი უცნობი პირები ერთათ არ იყრიდენ თავს, ფარულათ არაფერი საეჭვო შემოქონდეთ და

სადმე ეზოში ან სახლში არ მალავდენ, დაიხსომონ ვინ სად დაიარება ხშირათ და თუ რაიმე და ან ვინმე საეჭვო შენიშნეს, მაშინვე თავის უფროსს შეატყობინონ. რაკი მეეზოვეთა ვალდებულება ასეთია, ცხადია, ისინი იმათ უნდა ექვემდებარებოდენ, ვისაც „წესიერების დაცვა“ აქვს მინდობილი. მათ ნიშნავს და ითხოვს თავის ნებაზე პოლიცმეისტერი, სახლის პატრონს უფლება აქვს, ვინც უნდა აიყვანოს, მარა თუ პოლიცია მას არ მოიწონებს, ამ უკანასკნელს შეუძლია აყვანილი დაათხოვიოს და სხვა აიყვანიოს. ამნირათ თუმცა ჯამაგირს მათ სახლის პატრონი აძლევს, მარა სამსახურით კი ისინი როგორც პატრონს, ისე წესიერების დაცვას ემსახურებიან. ასეთია მეეზოვეთა ინსტიტუტი.

ქალაქის თვითმათრველობის ცხოვრებაში შესამჩნევი ბევრი არა მომხდარა რა. ანუსხვის ღირსია ის გარემოება, რომ გასულ წელს თითქმის არცერთი ქალაქის არჩევნები არ გასულა ისე, რომ რომელიმე არჩეული პირი ადმინისტრაციის წარმომადგენელს დაუმტკიცებელი არ დაეტოვებინოს და ახალის არჩევანი არ მოეთხოვოს, ზოგან კი პირდაპირ თვითონ თავის უფლებითაც დანიშნა ამა თუ იმ თანამდებობის პირი. არა ერთი და ორი ქალაქის საბჭოს დადგენილება უარყოფილი და გაუქმებული გახდა. თვითონ ამ თვითმართველობებზე, ლაპარაკი, ეს ათასჯერ თქმულის ათასერთჯერ გამეორება იქნება. მათი მოქმედება და თანამდებობის პირთა არჩევით სავსებით თავდება და კენჭის ყუთებს აღარ სცილდება. დიდი, გამოსადეგი საქმის წარმოება მათ ეძნელებათ, ქალაქის მეურნეობა სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული და მხოლოდ დეფიციტს იძლევა მოგების მაგიერ, მარა ამაზე არავინ ნაღვლობს. პატარა საქმეს დიდათ ხდიან, დიდ საქმეს გაურბიან, საერთო საქმეზე წინ თავის ჯიბეს და ნაცნობ ნათესაობას აყენებენ. რა ეროვნებისაც უნდა იყოს ხმოსანთა უმრავლესობა, ერთი რამე სუყველას ავიწყდება, ხალხი, მცხოვრებთა უმრავლესობა, მათი ინტერესები, და ეს ასე იქნება მანამ, სანამ ძირიანათ არ შეიცვლება არსებული საარჩევნო წესი...

ასე გამრავალფეროვანებულ და გართულებულ საზოგადოებრივ ურთიერთობის გამომხატველი ლიტერატურაც მრავალფეროვანი და რთული უნდა იყოს. მარა ეს ასე არ არის. მართალია, მასაც ეტყობა სიცხოველე. წინა წლებთან შედარებით მეტი სიცოცხლის გამოჩენა, მარა ცხოვრების აჩქარებულ მსვლელობას მაინც თანდათან უკან რჩება და მის ნამდვილ გამოხატულებას ველარ გვაძლევს. ვნახოთ რა მდგომარეობაშია ჩვენი პრესა. საერთოთ მას თავის სახე წინა წელს აქეთ არ შეუცვლია, მხოლოდ უფრო მკაფიოთ გამოხატა ის, რა გზასაც წინეთ ადგა. ივერიამ სულ უკან და უკან დაიწია კიბოსავით და კლერიკალ-ფეოდალთა ინტერესების დამცველად გახდა. ის უეჭველათ ამ წოდებათა კონსერვატიული ნაწილის ორგანოთ უნდა ჩაითვალოს. მისი ერთათ ერთი საგანი წარსულის ქებაა და აწმყოს ჩივილი, ის აწმყოს უარყოფს წარსულის სახელით და იქით უწოდებს მკითხველებს, იმ ნეტარ დროს დავუბრუნდეთ, როცა ჩვენი ბატონობა განუსზღვრელი და უცილობელი იყოვო. ამასთანავე ის თანდათან პირდაპირი და გულ ახდილი შეიქნა და ამით მოხუცების დროს პატარა ბავშვს დაემსგავსა. სულ სხვაა მეორე ჩვენი ყოველდღიური გაზეთი „ცნ. ფურცელი“. ამ გაზეთში თავი მოუყრია ყველა ბურჟუაზიულ მწერლებს, სხვა და სხვა ფრაქციებისას, ტიპიურ ბურჟუა ლიბერალიდან დაწყებული და რადიკალებით გათავებული. თვითეული მათგანი თავის ენაზე ლაპარაკობს და თავის აზრს ქადაგობს. აქედან წარმოსდგება აზრთა არევ დარევა, სრული ხაოსი; მარა ამ ხაოსში ერთი რამ არის ყველას შემაერთებელი. ეს არის დაცვა ბურჟუაზიის, მისი ინტერესების, და ამისათვის ყოველი ღონე და საშუალება მისაღებია, თუ კი ის ამ საქმეს გამოადგება. საერთოთ კი ამ ორგანოს ეტყობა მარცხნივ დაწევა, დემოკრატობისაკენ ხელის პოტინი. ის ირწმუნება, რომ მას ყველაფერი სწამს, წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, იცის, რომ მომავალი ბრწყინვალე იქნება, რომ ეს მომავალი ხალხისაა და ამიტომ ხალხს ელოლიავება, ელაქუცება, ხშირათ უმეორებს დემოკრატი ვარ, შენზე ვფიქრობ დღე და ღამეო, მარა საქმით კი ჯერ ასეთი „დემოკრატობა“ არაფერში გამოუჩენია. წინააღმდეგის მაგალითები კი ბლომათ მოგვცა. აიღეთ თუნდა ყველას მობეზრებული ჭიათურიადა, რომელმაც ჩვენ პრესას ნიღაბი ახადა და საკუთარი სახე გამოუჩინა. მაშინ „ცნ. ფურც.“ ენერგიული დამცველი გამოვიდა, „ეროვნული მრეწველობის“ და ნამდვილ ბურჟუა ინტელიგენციის. თავის „დემოკრატობით“ ის მათ საუკეთესო სამსახურს უწევს. ქართული ბურჟუაზია, როგორც შედარებით სუსტი და წელ გაუმაგრებელი, ვერ უძლებს უცხო კაპიტალის კონკურენციას და რომ თავის არსებობა დაიცვას და არ დაეცეს, ხალხის გული უნდა მოინადიროს, დემოკრატიულ სიმებზე ჩანგის აჟღერება კი ამის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ ის დემოკრატიულ-ნაციონალურ მანტიაში ეხვევა და ხალხის თავზე ხელის მოსმით ცდილობს მათი კლასობრივი შეგნების შესუსტებას და ამნაირათ მათ დამორჩილებას. ის ვერ ბედავს, რასაკვირველია, მას აშკარათ, განცხადებულათ ომი გამოუცხადოს, თავის ნამდვილი სახე აჩვენოს, მარა ვერც მასთან შერიგება მოუხერხებია, რადგან ასეთი შერიგება შეუძლებელია. ამიტომ მას მუდამ ორ სკამზე ჯდომა უხდება: ერთს ამბობს და მეორეს მოქმედებს, მომავლის სიდიადეზე ლაპარაკობს და თან უკან, წარსულისაკენაც იხედება, მეტი არ მომივიდეს, საზღვარს არ გადავცდეო, მომავალსაც შეტრფის და წარსულისკენაც ხელს აპოტინებს. და აი ამგვარათ ორ სკამ შუა ტრიალი დამახასიათებელი თვისებაა „ნაციონალურ-დემოკრატიული“ ცნ. ფურცლისა. ლიტერატურულ ძალებში თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა, ბევრი არც ახალი ვინმე მოგვმატებია და არც ძველებში დაგვაკლებია დიდი ძალა. გარდაიცვალა პოეტი გრიშა აბაშიძე და დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი), შემოგვემატა ნიჭიერი ბელეტრისტი ნინო ნაკაშიძისა...

არ. რაჟდენიძე.

## რუსეთი 1903 წელს

ახალი წელი და ძველი რუსეთი! შეიძლება? არა, არ შეიძლება. მაშ? ახალი წელი და ახალი რუსეთი. რომ ძველია? უნდა განახლდეს, აუცილებლათ უნდა განახლდეს, უსათუოთ უნდა განახლდეს. ვინ გაანახლებს? არავინ. მაშ? თვითონ, თავის ძალღონით, თავის ძლიერებით უნდა განახლდეს. მისი განახლების და გამშვენიერების ნაკადული თითონ მისი გულის სიღრმიდან ამოჩუხჩუხებს. მისი ძალა ამ სიღრმეშია და აქედან ჩქეფს, აქედან ხეთქს. ნაკადული და რუსეთი! რა შედარებაა! ვერაფერი შვილი! მარა ნაკადული მატულობს, მას სხვა და სხვა კუთხიდან სხვადასხვა ნაკადულები ემატება და ემატება. ის იზრდება, გაიზარდა და აი კიდეც თქვენ წინ მიიზლაზნება ვეებერთელა მდინარე დინჯათ, ამაყათ და მედიდურათ. ის გლეჯს ხეებს ძირიანათ, არღვევს და აპობს მიუვალ კლდეებს და მთებს, ლოდებს ლოდებზე აგორებს, მიაქვს ცა და ქვეყანა და ქვეყნიერობას წარღვნას უქადის. შეაჩერე აბა თუ შეგიძლია, გადამინე, გადააკავე. შეიძელი? ვერა. მას ვერაფერი შეაჩერებს. თითონაც რომ მოინდომოს შეჩერება, ვერ გაჩერდება. ამომავალ მზეს შეაჩერებს ვინმე? გაიხედეთ აღმოსავლეთისკენ, შეხედეთ, როგორ ეხვევა მას გარშემო ღრუბელთა გროვა, მის ცხოველ მყოფელ სხივებს ერთ-

ხანათ ჩვენამდე არ უშვებს. მაგრამ მზე თანდათან ავიდა ზევით, თანდათან უმატებს სიცხოლვეეს. ერთი ღონივრათ განძრევა და ღრუბლებიც კისრა-კოსრით ძირს ეშვებიან. მზე კი უფრო ზევით, უფრო მაღლა-მაღლა, მაღლა და კიდევ მაღლა... რა კარგია სიმაღლე! ყველფერს ხედავ კაცი. ყველაფერს ამჩნევ... შეაჩერეს ღრუბლებმა მზის მსვლელობა? ვერა. ვერც ადიდებულს მდინარეს შეაჩერებს ვინმე. მისი მიმდინარეობა განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება. ჯერ შესცვალე ეს კანონები და მერე სცადე შეჩერება... მაგრამ პოეტურმა აღმაფრენამ გაგვიტაცა და ნამდვილ საგანს კიდეც ავცდი მგონი. მაშ ისევ რუსეთი. ისევ რუსეთის ხალხი. რუსეთში რუსეთის ხალხის მეტი სხვა არავინ მინდა. დეე, სხვამ სთქვას: როგორც ლიუდოვიკო მეთოთხმეტე გაიძახოდა: საფრანგეთი მე ვარო, ჩვენ კი ვიტყვით რომ რუსეთი რუსეთის ხალხის უნდა იყოს, როგორც საფრანგეთი ფრანგების, ინგლისი ინგლისელების...

რა მოუტანა გასულმა წელმა რუსეთს? არაფერი. **პროექტები, კომიტეტები, სხდომები, თათბირი, ბჭობა, ცირკულიარები, მიწერილობები, და სხვა მრავალი პტყელ-პტყელი სიტყვები, გაზეთებში.** აი რა მოუტანა გასულმა წელმა რუსეთის ხალხს. ეს ცარიელი სიტყვები იყო 1901 და 1902 წელს და შარშანაც. და იმედია, ახალი წელიც არ გასცილდება მათ წინამოადგილეთ... ხალხი ისევ იმ აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფება როგორშიაც იყო წინეთ. რომ ხალხს გაუჭირდა, რომ ის გატყდა წელში, რომ მან ვერ შესძლო ათასგვარი გადასახადების გადახდა,—ეს, ოფიციალურ ცნობებიდანაც კი სჩანს. ეს ყველასათვის აშკარა შეიქნა, ხოლო რომ მარტო პროექტების და პლანების წერამ ვერაფერი გააწყო, ესეც ცხადზე უცხადასი შეიქნა. ქაღალდებს ვერ შეძლებია ხალხის ტვირთის შემსუბუქება, თორემ რომ რამე შეძლებოდა, რუსეთი ახლა ცამდე ასული და აყვავებული უნდა ყოფილიყო. სამეურნეო კომიტეტის სხდომები დასრულდა. და მით კიდეც დაასრულეს თავის მოღვაწეობაც. მათ სთქვეს: სოფელს ძლიერ უჭირს, დაბეჩავებულია, გაღატაკებული, მიწასთან გასწორებულიო. სთქვეს და შეჩერდენ კიდეც ამ სიტყვებზე. მერე ხალხს ამით მიეცა რამე შეღავათი? არაფერი. თითონაც ხომ ხედავდა თავის თავის გაჭირვებას. კომიტეტებმა დაინახეს გაჭირვება დ ხალხმა თვითონ თავის თავზე გადაიტანა ეს გაჭირვება. რომელია უფრო ძნელი? მაშ ხალხი ისევ შევიწროვებულია ეკონომიურათ, ისევ ითმენს შიმშილს და წყურვილს ისევ სცივა და არ აცვია. ეს ასე იყო წინეთაც, ხოლო გასულმა წელმა ეს მდგომარეობა უფრო გაამწვავა დ გააძლიერა. ასეთია სურათი ხალხის ეკონომიური მდგომარეობისა. მის გასაუმჯობესებლათ საქმით თვალსაჩინო არა გაკეთებულა-რა, თუმცა სიტყვებით ქვეყანა გადააყრუეს. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. გასულ წელს ხალხისთვის არაფრის მოტანა არ შეეძლო. აბა საიდან უნდა მოეტანა რამე? ისევ ხალხიდან?..

ხალხის ეკონომიურ და გონებრივ განვითარებას წინ ეღობება და ხელს უშლის მისი იურიდიულათ დაბეჩავება. ხალხი ველარ თავსდება ამგვარ შევიწროებულ ჩარჩოში იმდენათ გადიდდა მისი სულიერი მოთხოვნილებანი. მან თავი მაღლა აიღო და შეუდგა თავის ცხოვრების გაუმჯობესებას...

იურიდიულათ რუსეთის ხალხი შევიწროებული იყო მანამდე, სანამ მას იურიდიულათ გაანთავისუფლებდენ. იურიდიულათ ის შევიწროებულია და შეზღუდული დღესაც, ხალხის იურიდიულათ განთავისუფლების შემდეგ. იურიდიული თავისუფლების შემდეგ ისევ იურიდიულათ შევიწროება! ახირებულია! გასაკვირია! გასაშტერებელი ისტორიული აქტი! გასაცვიფრებელი ისტორიული კვანძი, რომელიც აქამდე ვერ გაუხსნიათ, და რომელიც აუცილებლათ უნდა გაიხსნას...

დიახ, ხალხი იურიდიულათ შევიწროებულია ეს უმაღლეს სფერაშიაც აღიარებულია. ბიუროკრატიული რეჟიმი საზოგადოთ სულს უხუთავს და ახრჩობს ადამიანის თვითმოქმედებას. საზოგადოებას ინიციატივის უფლება ჩამორთმეული აქვს და ყველაფერი ადმინისტრატიულ ოპეკას დაემორჩილა. პიროვნება, როგორც თვითმოაზრე ქმნილება, არ არსებობს და არა რაა მისი უფლება. ხალხს არა აქვს შეძლება თავისუფლათ განავითაროს თავის სულიერი ძალები. მას ვერ გამოუთქვამს თავის ტკივილები, თავის დარდი, ვარამი და მწუხარება. მას ხმაც ვერ ამოუღია, ბიჯიც ვერ გადაუდგამს ის შევიწროებულია არა მარტო არსებული კანონებით, არამედ იმითაც, რომ ამ კანონებით ბოროტმოქმედობენ, კანონებს კანონიერათ არ ასრულებენ. უბრალო სოფლის მწერალი ან სულ ნიორ-წყალათ აქცევს კანონიერათ ბოძებულ კანონებს და თავის ძალმომრეობას გაიტანს. ის პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაში. მხოლოდ შემთხვევით თუ გამომჟღავნდება რომელიმე მოხელის ბოროტმოქმედება, ცუდი საქციელი. სანამ სასჯელს გადაგიწყვეტდენ სამართლის და კანონის ძალით, ათასჯერ მოხდილი გაქვს უარესი სასჯელიც...ეს აღიარებულია დ ცნობილი უმაღლეს ავტორიტეტურ და კომპეტეტურ წრეებში, რომ საზოგადოების ინიციატივის უფლება უნდა გაფართოვდეს, პიროვნების უფლება უნდა აღდგენილ იქნეს. ბიუროკრატიული აპეკა ან უნდა მოისპოს, ან უნდა შეიზღუდოს და სხვა ამისთანები მრავალი დაიწერა და დეიბეჭდა. მხოლოდ საქმით კი აქაც არაფერი გაკეთებულა...

ასეთია სურათი ხალხის იურიდიულ მდგომარეობის—ეს კითხვები გასულ წელმაც ისე გადაუწყვეთელი დასტოვა, როგორც შარშანდელმა. გასულ წელს ამ მხრივ ხალხისთვის არაფერი მოუტანია. რას იზამს ეს კითხვები 1904 წელს, გადაწყდება, თუ ისევ გადაუწყვეტელ კითხვებათ დარჩება, ამის წინასწარმეტყველობას ჩვენ არ ვკისრულობთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ უმაღლეს სფერაში მათზე ბჭობა და დავა ჯერაც არ დასრულებულა. იურიდიულათ განთავისუფლების კითხვას გარს უტრიალებს ყველა სხვა დიდი თუ მცირე მნიშვნელოვანი კითხვები რუსეთში. მაზე დამოკიდებულია სახელმწიფოს ბედ-იღბალიც და ხალხის კეთილდღეობაც.

(შემდეგი იქნება)

## საგლეხო კანონმდებლობის მომავალი რეფორმების გამო

26 თებერვლის მანიფესტმა აუცილებელ საჭიროებათ იცნო ფართო რეფორმის შემოღება საგლეხო მართველობაში და ადგილობრივ პირთა შრომით გაძლიერება „იმ საშვალებათა, რომელნიც პირდაპირ დააკმაყოფილებენ ხალხის ცხოვრების მრავალგვარ საჭიროებებს“. ახლა ამასვე ამტკიცებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი, რომელიც მას, როგორც გაზეთები იუწყებიან მინისტრთა კომიტეტში განსახილველათ წარუდგენია, რა რომელსაც საჭიროთ მიაჩნია საგლეხო კანონმდებლობის რეფორმა. ამ პროექტით საგლეხო კანონმდებლობის ხელახლა განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ განსაკუთრებულმა საგუბერნიო რჩევებმა, რომლებზედაც მოწვეულ იქნებიან აზნაურობის, და ერობის წარმომადგენელნი და მცოდნე პირები. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ზოგიერთმა ერობებმა რუსეთში შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ამ რჩევებში მონაწილეობა ქონდესთ თვითონ ერობისგან არჩეულ პირებს და არა მირტო იმათ, ვისაც რჩევა მოუწოდებს.

ჩვენც ჩვენი მხრით, ვბედავთ და გვინდა ერთი რამ გამოვთქვათ ამ საგლეხო კანონმდებლობის მომავალი რეფორმის შესახებ, რაც, დარწმუნებული ვართ, ყველაზე უფრო

შეუწყობდა ხელს საგუბერნიო რჩევების მიერ თავის მოვალეობის სისწორით და საუკეთესოთ ასრულებას.

სასოფლო სამეურნეო კომიტეტების დადგენილებებს აშკარათ ატყვიათ, რომ ისინი ვიწრო წოდებრივი ტენდენციებით არიან გამსჭვალული. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდა ქუთაისის კომიტეტის დადგენილებები. იურიდიულმა სექციამ, როგორც ბაქ. უწყ. № 36 იყო მოხსენებული, თავის მოსაზრებები სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ იმით დაამთავრა, რომ სურვილი გამოსთქვა „სათავად აზნაურო ბანკზე საბოლოოთ შერჩენილი მამულები უმთავრესათ სოფლის საზოგადოებებს მიეყიდოს თავისუფალ მორიგებითო“, ხოლო როგორც „ნოვ. ობოზრ.“ გადმოგვცემს: „სათავად აზნაურო ბანკმა ეს მიწები შეღავათიანის პირობებით უნდა უსათუოთ სოფლის საზოგადოებებს მიყიდოსო“. კომიტეტმა პირველათ დაადგინა იურიდიული სექციის წინადადება მიღებულ იქნესო, მაგრამ მეორე დღეს აზნაურებმა პროტესტი განაცხადეს და მიღებული წინადადება შეცვლილ იქნა მათ სასარგებლოთ; და ამ ნაირათ განსაკუთრებულ ხარჯისთვის“ წარსადგენ მოხსენებაში შეიტანეს: „თავის მამულები ბანკმა უნდა მიყიდოს სოფლის მცხოვრებთ,—განურჩევლათ წოდებისა“. იურიდიულ სექციამ თავის წინადადება იმიტომ შეიტანა, რომ უნდოდა „დახმარება აღმოეჩინა ადგილობრივ გლეხობისათვის, რომელიც მიწის ნაკლებობის გამო მეტათ შევიწროებულ მდგომარეობაშია“. ამ წინადადებამ კი სრულიად დაკარგა პირვანდელი ხასიათი და მნიშვნელობა. ასეთივე ბედი ეწვია მეორე საკითხს, რომელიც დროებით ვალდებულთა განთავისუფლებას შეეხებოდა. სასოფლო-სამეურნეო სექციამ წინადადება შეიტანა მომიტეტში: „სავალდებულო განთავისუფლება დროებით ვალდებულ გლეხთა იმავე პირობებში უნდა მოხდეს, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში მოხდაო“. კომიტეტმა თავდაპირველათ ეს წინადადებაც შეიწყნარა, მაგრამ მეორე დღეს თავადაზნაურობამ ამასაც წინააღმდეგობა გამოუცხადა და კომიტეტის დადგენილება ისევ შეცვლილ იქნა მათი სურვილისამებრ, რადგან ისინი კომიტეტის უმრავლესობას შეადგენდენ. „განსაკუთრებულ საბჭოს“ მოხსენებაში ამ დადგენილებას მიმატებული აქვს: „და ადგილობრივ პირობების მიხედვითო“. ხოლო ეს მიმატება თავად აზნაურთა წინამძღოლების აზრით, რომელიც იმავე მოხსენებაშია გამოთქმული, ნიშნავს, რომ მიწის გამოყიდვა უნდა მოხდეს „არა იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალს იძლევა დღეს მიწა, არამედ იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალის მოტანა შეუძლია მას“. ასეთი გამოყიდვა კი, როგორც იქვე განუცხადეს აზნაურებს აგრონომმა ს. ნ. ტიმოფეევმა და ნამდვ. სტატ. სოვ. გრიგორაშმა, გლეხების სულით ხორცამდე გაღატაკებას ნიშნავს. ბოლოს ერობის და საყოველთაო, ყველა წოდებისგან შემდგარ სოფლის საზოგადოებების შამოღების საკითხმა ხომ მთელი თავის სიშიშვლიით დაგვიყენა თვალწინ აზნაურთა ვიწრო წოდებრივი მისწრაფებები. საყოველთაო, ყველა წოდებისაგან შემდგარ სოფლის საზოგადოებების პროექტი გაშავებულ იქმნა 16 ხმით 4-ის წინააღმდეგ, და ეს იმიტომ, რომ აზნაურების ფიქრით, ამ პროექტი გსანხორციელება მათ ხარჯებს შემატებდა, ხოლო უფლებებს კი შეუმცირებდა გლეხების სასარგებლოთ.

ასე უფრთხიან აზნაურები გათანასწორებისაკენ თუნდ ერთი ბიჯის გადადგმას!

ამ პროექტის მიღებაო, განაცხადა სხვათაშორის აზნ. ბებურიშვილმა, შეუძლებელია, იმიტომ, რომ გლეხს უმისოთაც ბევრი უფლება აქვთო. ეჭვი არაა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები არას შემთხვევაში არ გავიდოდენ, რომ კომიტეტის უმრავლესობა აზნაურებისაგან არ ყოფილიყო შემგარი და კომიტეტში გლეხების წარმომადგენლებსაც ქონოდათ ადგილი. ახლა ვიკითხოთ, ასეთივე ბედი არ უქადის მომავალ საგუბერნიო რჩევებს? მათშიაც ხომ გლეხების მხრით არავის მონაწილეობის ნება არ ექნება, როგორც არ ქონდა სასოფლო სამეურნეო კომიტეტში. შეიძლება ამაზე შეგვნიშნონ, რომ სამაზრო კომიტეტებს სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ წინადადება ქონდა მიცემული დაკითხებოდა სხვებზე უფრო შეგნებულ და მცოდნე გლეხ-კაცებს. დიახ, ეს მართალია, მარა ეს მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ მარტო დაკითხვა საკმარისი არ ყოფილა ამა თუ იმ ზომების შესამუშავებლათ. სამაზრო კომიტეტები შეეკითხენ ზოგიერთ გლეხებს, მარა ამას ქონდა განა რაიმე გავლენა კომიტეტების დადგენილებაზე? არაფერი.

გარდა საზოგადო მოსაზრებებისა, რომელნიც ნათლათ აჩვენებენ, რომ გლეხთა წარმომადგენელის ყოფნა საგუბერნიო რჩევებში სასარგებლო იქნება და სასურველიც,—ჩვენთვის, ამიერ კივკასიის მცხოვრებთათვის ადგილობრივ ცხოვრების განსაკუთრებულ პირობების გამო ასეთი ზომების მიღება პირდაპირ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში, სადაც ბატონ-ყმური დამოკიდებულება დიდი ხანია არხივს ჩაბარდა, შეიძლება კიდე მოძებნოს კაცმა რაიმე საბუთი იმ მოსაზრების სასარგებლოთ, რომ გლეხთა შესახებ რჩევაზე საკმარისია მსხვილ მიწათმფლობელთა წარმომადგენელის დასწრება ჩვენში ეს სრულიად შეძლებელია ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობენ დროებით ვალდებული გლეხები და რომ მათ შესახებ რჩევაში მხოლოდ მსხვილი მიწათ-მფლობელთა წარმომადგენელნი იქნენ მიწვეული, ეს საქმეს სარგებლობის მაგიერ, მხოლოდ ზარალს მიუტანს. განა შესაძლებელია, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა პატრონმა მიუდგომელი მსჯელობა იქონიოს იმით შესახებ, რომელთა ინტერესი სრულიად ეწინააღმდეგება მის ინტერესებს? მეორე მხრით შიდა გუბერნიებში მიწათ-მფლობელთა ასეთ ცალმხრივ წარმომადგენლობას ცოტათ მაინც ასწორებს ის გარემოება, რომ ერობიდან იმავე რჩევაში გარეშე ელემენტებიც ხვდებიან, ჩვენში კი საერობო დაწესებულებები არ არსებობს და ამიტომ აზნაურთა ვიწრო წოდებრივ ინტერესებს არავითარი შემზღუდველი ძალა არ ეყოლება. ზემო-მოხსენებული სამი დადგენილება ქუთაისის სასოფლო კომიტეტისა მიღებულ იქნა მიუხედავათ სხვადასხვა უწყებათაწარმომადგენლების პროტესტისა მხოლოდ იმიტომ, რომ აზნაურობა კომიტეტში დიდ უმრავლესობას შეადგენდა. დავასკვნათ. მოყვანილი საბუთები, ვგონებ, საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენი სურვილი იმის შესახებ, რომ საგუბერნიო რჩევებში საგლეხო კანონმდებლობის რეფორმის გამოსარკვევათ მოწვეულ იქნენ წარმომადგენელნი გლეხებისაგან, სამართლიანია. არ უნდა გვაფიქრებდეს ის გარემოება, რომ გლეხი განუვითარებელი და შეუგნებელია, სამაგიეროთ მას შეუძლია გულახდით გამოთქვას თავის ინტერესები, და ამას კი მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ათასგვარ გიპოტეტიურ მოსაზრებებს.

О—ъ С—ъ

## ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

(საუბარი მკითხველთან)

### VII

**შრომის განაწილება და მანუფაქტურა.**

კოოპერაციის დროს თვითოეულ მუშას საშუალება არა აქვს თავისი პირადი ღირსებები გამოიჩინოს, და საზოგადო შრომას სხვებთან ერთათ თანაბრათ ეწევა. ამიტომ მას არ შეუძლია გამოიჩინოს და განავითაროს თავისი ნიჭი, მიმხდურობა წარმოებაში. ეს ნიჭი უსარგებლოთ იმარხებოდა საზო-

გადო შრომაში და მით შეუმჩნეველათ იხარჯებოდა მწარმოებელის ზედმეტი ძალა. რასაკვირველია, კაპიტალისტისთვის ფრიად საჭირო იყო ეს დამალული ნიჭი წარმოების გასაუმჯობესებლათ გამოემჟღავნებია და გამოეყენებია, მხოლოდ, რადგან ამას ხელს უშლიდა უბრალო კოოპერაცია, საჭირო იყო წარმოების სხვანაირი ფორმა დამკვიდრებულიყო. ასეთ ფორმათ გამოდგა შრომის განაწილება: თვითოეული აკეთებს იმას, რაც უფრო ემარჯვება, რისთვისაც უფრო შესწევს ცოდნა, გამოცდილება, ძალ-ღონე და სურვილი. თავდაპირველათ კაპიტალისტი შეუკვეთდა საქონელს კერძო მესაკუთრეს—ხელოსანს, მწარმოებელს გააკეთებინებდა საჭირო რიცხვს და შემდეგ მიქონდა გასასაღებლათ; შემდეგ, როცა ბევრი საქონლის საწარმოებლათ ბევრი მასალა და იარაღები გახდა საჭირო, ხოლო წვრილ მწარმოებელთ ასე ბლომათ არაფერი მოეპოვებოდათ, კაპიტალისტი თვითონვე ურიგებდა მწარმოებელთ საჭირო მასალას, საწარმოვო იარაღებს და ამნაირათ ბაზრისათვის საჭირო საქონელს ამზადებინებდა. გავიდა ხანი და გამოცდილებამ დაარწმუნა კაპიტალისტი, რომ მუდმივი თვალყურის დევნება მწარმოებლებისა ფრიად საჭიროა მოგების გასადიდებლათ და ამ მოსაზრების ზედგავლენით მოუყარა თავი განცალკევებულ მწარმოებელთ ერთ სახურავს ქვეშ, მისცა ყველას შესაფერი სამუშაო და ასე მთელი წარმოება თავისს ზედამხედველობას დაუმორჩილა. ამას კაპიტალისტი ორნაირის საშუალებით სწვდებოდა: 1) სხვა და სხვა ხელობის მწარმოებელთ კაპიტალისტი ქირაობს მუშებათ და თავს უყრის ერთათ ერთ ქარხანაში. მაგალითათ, წინეთ ეტლის გასაკეთებლათ ჯერ მეეტლეს უნდა ემუშავნა, შემდეგ მისი ნამუშევარი უნდა მიეტანათ მეუნაგრისათვის, აქიდან მჭედლისათვის, მჭედლიდან მღებავთან და ასე ბოლომდე. ხოლო, როცა მეეტლე, მეუნაგრე, მჭედელი, მღებავი და სხვა ხელობის მწარმოებელნი ერთ ქარხანაში მოამწყვდია კაპიტალისტმა, ისინი ერთდროულათ ასრულებენ თავიანთ სამუშაოს, ეხმარებიან ერთმანეთს და თავისს ნამუშევარს დაუყონებლივ გადასცემენ ერთი მეორეს გასაკეთებლათ. წინეთ შეუძლებელი იყო ისე ეტლის შეღება, თუ ეტლი სრულიად მზათ არ იყო, ხოლოდ ქარხანაში, სადაც ბევრი ეტლები კეთდება, ყოველთვის მოსახერხებელია საქმე ისე მოეწყოს, რომ ეტლის ერთი ნაწილი იღებებოდეს მაშინ, როცა მეორე ნაწილი ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადადის საკეთებლათ. 2) ბევრი ხელოსნები, ერთი და იმავე საქონლის მწარმოებელნი, რომელნიც ამზადებდენ საქონელს მთელათ და არა მხოლოდ რომელიმე ნაწილს, გროვდებიან კაპიტალისტის ზედამხედველობის ქვეშ მის ქარხანაში. აქ კაპიტალისტმა საქონლის წარმოება გაანაწილა, თვითოეულ მწარმოებელს საქონლის ერთი პაწია ნაწილის დამზადება მიანდო. ამნაირათ დაიწყო მანუფაქტურა. მაშასადამე *მანუფაქტურა არის შრომის განაწილებაზე დამყარებული კოოპერაცია.* ერთის მხრით მანუფაქტურას შეაქვს წარმოებაში შრომის განაწილება: თვითოეულ მწარმოებელს აკეთებინებს საქონლის მხოლოდ ერთ პაწია ნაწილს; მეორეს მხრით აერთებს, აზავებს ერთმანეთთან ისეთ ხელობებს, რომელნიც წინეთ სრულიად განცალკევებულათ არსებობდენ. ის სხვა, ახალ ფორმას აძლევს წინანდელი ხელოსნის წარმოებას, მხოლოდ ეხლაც, როგორც წინეთ საქონელი მწარმოებელის ხელებით მზადდება. ამიტომ ამნაირ წარმოებას მანუფაქტურა ეწოდება, რაც ლათინურათ ხელით გაკეთებულს ნიშნავს, ე. ი. ეს ახალი საწარმოვო მეხანიზმი ძველი იარაღებით მოქმედებს. ეს იარაღი—ადამიანის ორგანოებია.

მანუფაქტურის დროს საქონელი მზადდება ან სხა და სხვა ნაწარმოებთა შეერთებით ან და ერთი და იგივე ნაწარმოები გასაკეთებლათ გადადის ერთიდან მეორეს ხელში. ავიღოთ მაგალითათ საათი: ერთი აკეთებს პრუჟინას, მეორე ციფერბლატს, მესამე ხვრეტს პაწია ქვას ღერძის გასაყრელათ, მეოთხე ამზადებს ისარს, მეხუთე ვინტს, მეექვსე სახურავს და სხვ. ბოლოს ამდენი კაცის ნამუშევრებიდან კეთდება ერთი საქონელი—საათი. აქ თვითოეული ერთ ერთს რასმე აკეთებს, მხოლოდ ბოლოს მრავალ ნაწარმოებთა შეერთებით მზადდება ერთი საჭირო მთელი საქონელი. ავიღოთ მეორე მაგალითათ ქინძისთავი: ერთი მართავს მავთულს, მეორე ასწორებს, მესამე სჭრის, მეოთხე აწვეტიანებს, მეხუთე ბოლოს უსწორებს თავის დასაჭდობათ, მეექვსე ამზადებს თავს, მეშვიდე აჭდობს მავთულზე ამ თავს, მერვე სწმენდს საბოლოოთ და ამნაირათ სანამ ქინძისთავი გაკეთდებოდეს მრავალი კაცის ხელში უნდა გაიაროს. აქ ერთი და იგივე საგანი გადადის ხელიდან ხელში და მხოლოდ მრავალი მოგზაურობის შემდეგ ღებულობს დასრულებულ სახეს. რა სარგებლობა მოაქვს წარმოების ასეთ ფორმას? მუშა, რომელიც ყოველდღე ადგია ერთ და იმავე სამუშაოს, აკეთებს ერთ და იმავე საქმეს, ამ საქმის მცოდნე, დახელოვნებული ოსტატი ხდება: ითვისებს მის ყოველივე წვრილმან მხარეებს და ამიტომ მეტის სისწრაფით და უმჯობესათ მუშაობს. ამასთანავე მისთვის საჭირო არ არის წამ და უწუმ სამუშაო იარაღების ცვლა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, გადატანა: ზის ერთ ადგილზე დილიდან საღამომდე და უკაკუნებს ერთი და იმავე იარაღით ერთნაირათ. ამნაირათ ნაკლები დრო იკარგება და მეტი საქონელი მზადდება. აი როგორ აგვიწერს ამ სარგებლობას ცნობილი ეკონომისტი ადამ სმიტი: „მე ვიხილე ერთი პატარა მანუფაქტურა; შიგ მხოლოდ ათი კაცი მუშაობდა და ამიტომ ზოგი მათგანი ორ, ორ, სამ-სამ საქმეს აკეთებდა. თუმცა ეს მანუფაქტურა ძალიან ღარიბი იყო და იარაღები ცუდი ქონდა, მაგრამ ამ პირობებშიაც ეს ათი მუშა, როცა მოინდომებდენ 12 გირვანქა ქინძისთავის გაკეთებას ასწრებდენ. რადგან თითო გირვანქაში ოთხი ათას (4000) ქინძისთავზე მეტი გამოდის, ათი მუშა 12 გირვანქის გაკეთებით, ორმოცდა რვა ათასის თავის გაკეთებას ახერხებდენ დღეში, ასე რომ თითო მუშაზე ოთხი ათას რვაასი ქინძისთავი მოდიოდა. ამ მუშებს რომ ცალ-ცალკე ემუშავნათ და თვის საქმეს მიჩვეულნი არ ყოფილიყვნენ, თქმა არ უნდა, ვერც 20 ქინძისთავს გააკეთებდენ დღეში, შეიძლება ერთიც ვერ გაეკეთებიათ... მაგრამ ამას კიდევ ერთი ფრიად სასარგებლო და საყურადღებო მხარე აქვს: როცა შრომა ასე განაწილებულია და თვითოეული მუშა ერთ მარტივ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ ერთი და იგივე იარაღი ხელში უჭირავს, მაშინ ფრიად ადვილი შესამჩნევი ხდება ამ იარაღის ნაკლი, ამიტომ მისი გაუმჯობესების საჭიროების შეგნებაც ადვილია და ამიტომ საწარმოვო იარაღები შრომის განაწილების წყალობით სწრაფათ და მეტათ გონივრულათ უმჯობესდებოდა. მაგრამ თუ კაპიტალისტისათვის მუშის ასეთი გასპეციალისტება მეტათ ხელსაყრელია, თვით მუშაზე, სამაგიეროთ, შრომის განაწილებას ძალიან ცუდი გავლენა აქვს; როცა მწარმოებელი დამოუკიდებელი ხელოსანი იყო და საქონელს მთელათ ამზადებდა, ის იძულებული იყო ეს საქონელი თავდაპირველათ თავის გონებაში წარმოედგინა, საქმის დაწყებამდე გასაკეთებელის გეგმა შეედგინა. ამ დროს მისი გონება მუშაობდა; ფიზიკური შრომის დახარჯვამდე გონებრივ შრომას ეწეოდა; მისთვის საქონლის გაკეთება არ წარმოადგენდა უბრალო ფიზიკურ ვარჯიშს, არამედ ეს იყო მისი აზრის ვარჯიშიც: გამოანგარიშება, სხვა და სხვა ნაწილების ერთმანერთთან შეთანხმება, სწრაფი და ბეჯითი მოსაზრება, ყოველი ახალი საქონლისათვის ახალი გეგმა—აი რა სჭიროდა მას მუშაობის დროს. ხელოსნის მუშაობა ფიზიკური და გონებრივი შრომის შეერთე-

ბა იყო; მწარმოებელი გონებაში შექმნილ საგანს, ქმნიდა და ანხორციელებდა თვისი სხეულებით. მუშაობაში შექონდა აზრი, ამ უკანასკნელის აღსრულება იყო პირველი; მას არ შეეძლო ისე მოეკიდა მუშაობისათვის ხელი, თუ წინდაწინვე მოსაზრებული, განსჯილი არ ქონდა სამუშაო საგანი; მას არ შეეძლო სამუშაოს არც ერთი ნაწილი ისე გამოეჭრა, თუ წინდაწინვე გამოჭრილი არ ქონდა გონებაში; მას არ შეეძლო ეს ნაწილები ისე შეერთებია, თუ ეს შეერთება გონებაში არ ქონდა გადამუშავებული. ერთი სიტყვით დამოუკიდებელი მწარმოებელი-ხელოსანი წარმომადგენელი იყო ორხაირი შრომის: ფიზიკურისა და გონებრვის. ამით აიხსნება საშუალო საუკუნოების ხელოსნების შესანიშნავი ნაწარმოებნი, რომელსაც დღესაც აღტაცებაში მოყავს სილამაზისა და გამჭრიახობის მოყვარული ისტორიკოსები. მხოლოდ ეს იყო წინეთ; მას შემდეგ, რა რომ მანუფაქტურამ შრომის განაწილება უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა, მას შემდეგ, რა რომ თვითეულ მწარმოებელს მიაჩემა მთელი საგნის რაღაც პაწია უმნიშვნელო ნაწილი, გონებრივმა შრომამ დაკარგა თავისი კავშირი ფიზიკურ შრომასთან; ისინი გათიშა ახლმა წარმოებამ, ამ ორ შრომათა წარმომადგენელთ შორის ამოთხარა უფსკრული და ფიზიკური შრომის წარმომადგენელს ისევე დაუჴლუნგა გონებრივი გამჭრიახობა, როგორც გონებრივი შრომის წარმომადგენელს ფიზიკური შრომის უნარი. შრომის განაწილებამ ქარხნის მუშა მიაბა ერთ ადგილზე, დააყენა ერთ პატარა საქმეზე, მისცა ხელში ერთი იარაღი და ისიც იძულებულია ერთნაირათ, ერთფეროვნათ უკაკუნოს და უკაკუნოს. ხელფეხი ემრუდება, გონება ეჴლუნგება, ჯანმრთელობა ეკარგება და ადამიანური სახე დღითი-დღე სულელურ, უგუნურ გამომეტყველებას ღებულობს. მუშას არა დროს არა აქვს არავითარი ინტერესი საქმის რიგიანათ წარმართვისა, ის თავმობეზრებულია ამ ერთფეროვანი მოძრაობით, მისი გრძნობაგონება შეზღუდულია ამ პაწია უმნიშვნელო საქმით, მის აზროვნობას არა აქვს გასაშლელი ასპარეზი. ერთი სიტყვით ის მოკლებულია ადამიანურ ცხოვრებას, მოწყვეტილია ქვეყნიერებას და უსიამოვნოთ ლევს თვის სიცოცხლეს. თუ როგორ მოქმედებს მუშის გონებაზე ასეთი ცხოვრება, შემდეგი ფაქტები დაგვანახვებენ. ინგლისის მთავრობის მიერ ამ საგნის გამოსაძიებლათ დანიშნულმა კომისიამ მუშებისაგან ამნაირი პასუხები მიიღო: „12 წლის მუშა უპასუხებს: ოთხჯერ ოთხი რვაა; მეფე, ეს ის კაცია, რომელსაც ყველა ფულები და ოქროები ეკუთვნის; ამბობენ ჩვენ მეფე გვყავსო; ეს მეფე-დედოფალია და ამ მამა-კაცს სახელათ პრინცესა ალექსანდრა ქვია“... იმავე ხნის მეორე ბავში უპასუხებს: „მე ინგლისში არ ვცხოვრობ; მგონია არის სადღაც ასეთი ქვეყანა, მხოლოდ მე არაფერი გამიგონია ამ ქვეყნის შესახებ“. 14 წლის ბავში: „გამიგონია, ქვეყანა ღმერთმა გააჩინაო, მერმე წარღვნა მოახდინა, დაიხრჩო სულ ყველა გარდა ერთი კაცისა, რომელიც თურმე პატარა ჩიტი ყოფილა“. 15 წლის მუშა: „ღმერთმა მამაკაცი გააკეთა, მამაკაცმა დედაკაციო“. კიდევ 15 წლის მუშა: „ეშმაკი—კეთილი კაცია. მე კი არ ვიცი, სად ცხოვრობს ეშმაკი“. აი რას ამბობს იგივე ადამ სმიტი: „უმეტეს ნაწილათ ადამიანის გონების ვითარება დამოკიდებულია მისი ყოველდღიური შრომისაგან. ადამიანი, რომელიც მუდამ ერთ და იმავე სამუშაოს ასრულებს, ვერ ავითარებს თავის გონებას. წინააღმდეგ მისი გონება ჩლუნგდება, გამოფიტდება... რასაკვირველია, ცხოვრების ერთფეროვნება ცუდათ მოქმედებს მის სულიერ სიმტკიცეზედაც. ის ხრწნის მის სხეულს, უკარგავს ენერგიას და უნიჭოთ ხდის ყოველ სხვა საქმეში; ასეთ მუშას არ შეუძლია გამოიჩინოს რაიმეში მუყაითობა გარდა იმ საქმისა, რომელსაც ის მუდამ ადგია“. ასეთია შრომის განაწილება მანუფაქტურაში. ვნახოთ რით განსხვავდება ამისაგან შრომის განაწილება თვით საზოგადოებაში. ჩვენ ვიცით რომ საქონლის წარმოება აუცილებელი პირობაა კაპიტალისტური წარმოების განვითარებლათ; ამიტომ შრომის განაწილება მანუფაქტურაში შეუძლებელია ისე, თუ წინათვე განაწილებული არ არის შრომა თვით საზოგადოებაში. რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი?

საზოგადოების სხვადასხვა წევრი სხვადასხვა საქმეს აწარმოებს. ჯერ კიდევ ძველ დროში ვამჩნევთ შრომის ასეთ განაწილებას. ოჯახის თვითეულ წევრს არ შეუძლია ოჯახის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ამიტომ იგი მხოლოდ ერთ რომელიმე საქმეს ასრულებს, მეორე—მეორეს, მესამე—მესამეს და ამ ნაირათ საზოგადო შრომით და ამ შრომის საზოგადოების წევრთა შორის განაწილების წყალობით შესაძლებელია მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ავიღოთ მაგალითათ ძველი ინდოელი თემები. აქ უმეტესი საგნები თემის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ მზადდება, მხოლოდ საქონლის წარმოება მათთვის ცხოვრების სახსარს არ წარმოადგენს; ამიტომ თვითეული ინდოელი თემი სხვა თემებისაგან განკერძოებულათ სცხოვრობს; ერთმანეთს არ საჭიროებენ, ყველა თავისთვის შრომობს და იკმაყოფილებს თავის საკუთარ მოთხოვნილებას. როცა ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია და კიდევ რჩება ზედმეტი ნაწარმოები, რომელიც თემს ამ ჟამათ არ ეჭირვება, ასეთი ნაწარმოები შეიძლება საქონლათ გადაიქცეს და სხვა თემის საქონელში გადაიცვალოს. მხოლოდ ეს ცვლა შემთხვევითია, იშვიათი და ამიტომ ცხოვრების ვითარების დედა ძარღვს არ წარმოადგენს. აბა დაუკვირდით ამ პირვანდელ თემს, როგორ გაუნაწილებია შრომა თავის წევრთა შორის: ერთი მამასახლისობს, რომელიც იმავე დროს ხარკის ამკრეფიცაა, მსაჯულიც, პოლიციელიც, მეორე თვალ-ყურს ადევნებს მომსვლელ წამსვლელებს, გააცილებს მეზობელ თემამდე უცხო სტუმარს, მესამე საზღვრის დარაჯია, რომელიც მეზობელი თემების თავდასხმისაგან იცავს თავის სამშობლო საზღვრებს, მეოთხე მასწავლებლობს, რომელიც სილაზე ხატვით ასწავლის სოფლის ბავშებს წერა-კითხვას და სხვა. მაგრამ, რადგან სხვადასხვა თემი სხვადასხვა ადგილს სცხოვრობს, უეჭველია, ყველა თემს ერთნაირი საქმე არ დაურჩება საკეთებელი, ამიტომ ერთი თემი ნადირობს მხეცებზე, მეორე თევზაობს, მესამე კიდევ სხვა საქმეს ეტანება; ესენი ხვდებიან ერთმანერთს, უცვლიან თავ-თავიანთ საქონლებს და რამდენათ უფრო ხშირი იყო ასეთი შეხვედრა, გაცვლა, იმდენათ უფრო იკიდებდა ფეხს შრომის განაწილება: თვითოეული მათგანი თავის საქმეს უფრო გულდასმით ეკიდებოდა. ამ ურთიერთობის თანდათანი ზრდა, კიდევ უფრო ზრდის და ანვითარებს საზოგადოებაში შრომის განაწილებას. ნამეტურ ეს ცხადათ იჩენს თავს მას შემდეგ, რა რომ სოფელს ქალაქი გამოეყოფა და გაცვლა-გამოცვლა ხშირი და მუდმივი მოვლენა ხდება. ყოველ შემთხვევაში რა დროცა და გარემოებაც უნდა ავიღოთ, საზოგადოებრივი შრომის განაწილებას მანუფაქტურის შრომის განაწილებასთან შედარებით ერთი დიდი განსხვავება აქვს: მაშინ როდესაც საზოგადოებაში ოვითოეული წევრი სრულიად დამთავრებულ საქონელს ამზადებს და ისე გამოაქვს ბაზარზე, ქარხანაში თვითეული მუშა საქონლის მხოლოდ ერთ პაწია ნაწილს აკეთებს და მხოლოდ მუშათა მიერ გაკეთებული ნაწილებისაგან შესდგება საქონელი. ქარხანაში მუშა მთელ საქონელს არ ამზადებს; საქონელია მუშების შეერთებული შრომის ნაყოფი; საზოგადოებრივი შრომის განაწილება კი თვითეულ მწარმოებელს აძლევს საშუალებას მთელი საქონელი შექმნას. აქედან კიდევ ერთი დიდი განსხვავება წარმოდგება:

რადგან საზოგადოებრივი შრომის განაწილებით კერძო მწარმოებელი მთელ საქონელს აკეთებს და ეს მწარმოებლები ერთი მეორისაგან დამოუკიდებელნი არიან, ამიტომ მათ საკუთარი საწარმო[illegible] იარაღები და მასალაც უნდა ქონდეთ საწარმოებლათ; მხოლოდ როდესაც [illegible]არიბილი მწარმოებელნი საქონლის ნაწილებს ამზადებენ და არა მთელ საქონელს და ერთი მეორესთან მჭიდროთ გადაჯაჭვულნი არიან წარმოებით, მაშინ აუცილებლათ საჭიროა აუარებელი მასალა და საწარმოვო იარაღები, რომლითაც ამდენ ხანს მწარმოებლები ცალ-ცალკე საქონლის საწარმოებლათ სარგებლობდენ, მოგროვდეს ერთ ადგილას და ერთი პატრონის ხელში; იმ პატრონის, რომელთანაც დაბოლოს დასრულებული საქონელი გადადის. მაშასადამე პირველ შემთხვევაში საწარმოვო იარაღები ნაწილ-ნაწილათ კერძო წვრილი მწარმოებლების ხელშია, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს იარაღები თავს იყრის ერთი კერძო კაცის ხელში. აქედან თავის თავათ ერთი კიდევ უფრო საყურადღებო შედეგი წარმოსდგება. საზოგადოებრივი შრომის გასანაწილებლათ ე. ი. მისთვის რომ საზოგადოების სხვადასხვა წევრებმა სხვა და სხვა საქონლები აწარმოვონ და თვისი ნაწარმოები გასაყიდათ ბაზარში გაიტანონ, საჭიროა იმათ მოქმედების თავისუფლება ქონდეს მინიჭებული. როცა ის ბაზარში გამოდის, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ საქონელს ძალ-დატანებით არავინ წაართმევს, ვერავინ ვერაფერს დააძალებს, თავის საქონელს, როგორც უნდა, ისე მოიხმარს. ქარხანაში კი ასეთი პირობა შეუძლებელია. აქ, წინააღმდეგ, მთელი წარმოება ძალდატანებაზეა დამყარებული. რა რომ მუშამ თავის სამუშაო ძალა გაყიდა, მან თავისუფლებაც დაკარგა, ის მონა გახდა კაპიტალისტის. კაპიტალისტი ადგენს შრომის პირობებს, მუშა იძულებულია ამ პირობებს დაემორჩილოს. აქ დესპოტიური რეჟიმია გამეფებული და ამ რეჟიმის წუმპეში იხრჩობა მწარმოებელი. აქ კაპიტალისტი ადგენს სამუშაოს გეგმას, ხოლო მწარმოებელნი ამ გეგმის უტყვი აღმასრულებელნი არიან, აქ კაპიტალისტი გარედან მბრძანებლობს და შიგ დღე-ღამე წარმოება გაჩაღებულია. აქ კაპიტალისტი არაფერს აკეთებს და ყველაფერი-კი მისია; მწარმოებელი ყველაფერს ქმნის და არაფერი კი არ რჩება, აქ ერთი მეთვალყურეა, ათასი მკეთებელი; მხოლოდ პირველის სურვილი მეორისთვის კანონია! რათ ხდება ასე? მაგრამ ჯერ წავიწიოთ წინ, კიდევ გავიგოთ, კიდევ გავიცნოთ დღევანდელი წარმოების თვისებავითარება. მანუფაქტურული შრომის განაწილება ერთნაირი საშუალებაა, რომლითაც კაპიტალისტი შრომას ანაყოფიერებს, აუცილებელ სამუშაო დროს ამოკლებს, მით ზედმეტ ღირებულებას ზრდის და კაპიტალს ადიდებს. მაშასადამე ამნაირათ კაპიტალისტი სწვდება თავისს საწადელს: სამუშაო ქირას ამცირებს და მუშისაგან ჩამონაკვეცით სუქდება; ის ამრავლებს თავის სიმდიდრეს და ამავე დროს ამახინჯებს მუშას; ამიტომ ერთის მხრით მანუფაქტურა პროგრესიული მოვლენაა ცხოვრებაში, ეკონომიურ წარმატებას მოასწავებს, ხოლო მეორეს მხრით ეს წარმატება მწარმოებლის დაბეჩავებაზე, დაჩაგვრაზე, გაყვლეფაზეა აგებული. ასე ძვირათ ჯდება, ჩემო მკითხველო, წინსვლა, პროგრესი!. მაგრამ სამანუფაქტურო წარმოებით კაპიტალისტი კიდევ ვერ სწვდება სავსებით სანატრელ მდგომარეობას. მუშა აქ სპეციალისტია, ხელობის მცოდნე. ამ ცოდნის შეძენას დრო ეჭირება. ამიტომ მცოდნეთა რიცხვი განსაზღვრულია, მწარმოებელი არც ისე ადვილი მოსაპოვებელია ყოველგან და ყოველთვის. ამიტომ კაპიტალისტი იძულებულია, ზოგჯერ თავის სამწუხაროთ, დაუთმოს მწარმოებელს; მწარმოებელს, თავისდა საკეთილდღეოთ, საშუალება ეძლევა ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაუ იოს კაპიტალისტის ოსიამოვნო ძალადობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მანუფაქტურის დროს მუდამ კაპიტალისტების წუწუნი გაისმის: მუშები ურჩები არიან, დისციპლინას არ ემორჩილებიან, საზოგადო საქმეს აფერხებენ, ცხოვრებას გვიმწარებენ, უფლებას გვართმევენო და სხვ. უეჭველია, კაპიტალისტები მეტათ მოწადინებულნი იყვენ გამოსულიყვენ ამ არასასიამოვნო მდგომარეობიდან, მოეპოვებიათ სრულიად განუკითხველი ბატონობა, დაემორჩილეიათ [illegible]ვე მოწინააღმდეგე ძალა, დაეთრგუნათ მწარმოებლის პიროვნება, რათა თავ[illegible] შეუწუხებლათ, მეტის სისწრაფით ეზარდათ თავისი სიმდიდრე, მოეხვეჭათ სახელი და დიდება. ამისთვის საჭირო იყო წარმოების კიდევ უფრო განკარგება, საწარმოვო იარაღების გაუმჯობესობა. ამას თხოულობდა აგრეთვე დაუცხრომელი, ულმობელი ქიშპობა ბაზარზე კაპიტალისტებს შორის. ეს ქიშპობა ანუ კონკურენცია, რომელიც მყიდველების მოპოვების წარმტაც სურვილს წარმოადგენს, ამოძრავებს მთელ ცხოვრებას, ანვითარებს წარმოებას; სწორეთ ამ კონკურენციამ მოუსპო ბატონობა მანუფაქტურას, რომლის არსებობა მეტათ ხან-მოკლე იყო. მისი წელთ-აღრიცხვა დაიწყება მე-16-ე საუკუნის ნახევარში და მე-18-ე საუკუნის მიწურულში ადგილს უთმობს წარმოების ახალ ფორმას. მსოფლიო წარმოების სცენაზე ჩნდება მაშინა და ფეხს იდგამს, მსხვილი მრეწველობა. ეს შემდეგი საუბრისთვის, მკითხველო!

ა. წულუკიძე.

## კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს

(ისტორიული წერილი)

თარგმანი დ. ელიავასი

### III

ამ ბოლო დროს მოდათ გადაიქცა კაპიტალისტთა კლასის მესამე წოდებათ დაძახება და მისთვის პროლეტარიატის დაპირდაპირება, როგორც მეოთხე წოდების. მაგრამ ისე რო არ მივიღოთ მხედველობაში, რომ პროლეტარიატი სრულიადაც არ წარმოადგენს წოდებას, არამედ კლასს, ე. ი. საზოგადოების ნაწილს, რომელიც სხვა ნაწილებისაგან განირჩევა თავის ეკონომიური პირობებით და არა იურიდიულ უფლებებათა შეზღუდვით, მაზე ლაპარაკი, როგორც მეოთხე წოდებაზე, მაინც შეუძლებელია მარტო იმ მიზეზით, რომ ის უკვე მთელათ შედიოდა მესამე წოდებაში. მესამე წოდებას შეადგენდენ ყველა ისინი, ვინც პირველ ორ წოდებას არ ეკუთვნოდა. მასში შედიოდენ არა მარტო კაპიტალისტები, არამედ ხელოსნებიც, გლეხობაც და პროლეტარებიც. ადვილი წარმოსადგენია თუ რა ჭრელ მასსას წარმოადგენდა ეს წოდება. აქ ჩვენ ვპოულობთ სულ სხვა და სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებს, როგორც მისწრაფებებით, ისე ბრძოლის საშვალებებით; მარა გარკვეულ, კლასობრივ ბრძოლის აქ ნასახიც კი არსად ჩანს.

ის კლასი, რომელსაც ახლა უმეტეს ნაწილათ მესამე წოდებას უძახიან, ე. ი. კაპიტალისტთა კლასი, სრულიადაც არ წარმოადგენდა ერთ მჭიდროთ შეკავშირებულ რაზმს. მის ზევით მსხვილი ფინანსისტები იდგენ. მათ, როგორც სახელმწიფოს მთავარ მევალეებს, სრული საბუთი ქონდათ ისეთი რეფორმების შემოღება მოეთხოვათ, რომელიც დაიფარავდა სახელმწიფოს გაკოტრებისაგან, შეამცირებდა მის ხარჯს და ასწევდა შემოსავალს. მარა ეს რეფორმები, როგორც ერთი ანდაზა ამბობს, რომელიც უკვე წარსულ საუკუნეში ყველა ზევიდან დაწყებულ სოციალურ რეფორმების სახელმძღვანელო პრინციპათ შეიქნა, ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ „მგელიც მაძღარი ყოფილიყო და ცხვრებიც უვნებელი“. მართლაც, ფინანსისტებს არ შეეძლოთ მტრული თვალით არ შე-

ხედათ ყოველ რადიკალურ საფინანსო და სოციალურ რეფორმისთვის. მრავალმა მათგანმა დიდი საფეოდალო მამულება შეიძინა, აზნაურობის ტიტულიც იყიდა, და რა თქმა უნდა, ყველა ამაზე ხელის აღება არაფრით ეპიტნავებოდა. აზნაურობისთვის პრივილეგიის შერჩენაში ისინი კიდევ უფრო იმ მოსაზრებითაც იყვენ დაინტერესებული, რა მოსაზრებითაც საზოგადოთ კრედიტორი დაინტერესებულია, რომ მისი მოვალე სრულიად არ განადგურდეს. ისინი იყვენ კრედიტრები არა მარტო მეფის, არამედ მთელი დავალიანებული აზნაურობისაც. ეკონომისტები დაბეჯითებით ამტკიცებდენ, რომ სოფლის მეურნეობის შემოსავალი საგრძნობლათ იმატებს, თუ მის წარმოება არა ნახევრათ ფეოდალურ, არამედ წმინდა კაპიტალისტურ ნიადაგზე იქნება აგებულიო. ასეთი ცვლილების მოსახდენათ კი საჭირო იყო სამეურნეო იარაღების, მუშა საქონლის და სხვა მოწყობილობების შეძენა, ამისთვის მიუცილებელია კაპიტალი. კაპიტალი კი მხოლოდ აზნაურობის უუმცირეს ნაწილს ქონდა ხელში. საფეოდალო გადასახადე ის მოსპობა მათ სრულ გაკოტრებას უქადდა. მათი კრედიტორები კი, რასაკვირველია, ყველაზე ნაკლებ იყვენ დაინტერესებული ხელი შეეწყოთ მათი გაკოტრებისათვის. ბურჟუაზიის უმაღლესი სფერები, როგორც უკვე დავინახეთ, თანადათან უახლოვდებოდა აზნაურობას საზოგადოებრივ ურთიერთობაშიაც. ეს კიდევ არაფერი, ყოველი რადიკალური საფინანსო რეფორმა უთუოდ გამოიწვევდა გადასახადების იჯარით გაცემის მოსპობას და პირდაპირ სახელმწიფო ბაჟების შემოღებას. სახელმწიფოს უმთავრესი შემოსავალი, როგორც მარილის და მაგარი სასმელების ბაჟი, სატარიფო გადასახადი, თამბაქოს მონოპოლია,—ყველა ეს იჯარით იცემოდა. მოიჯარადრეები ყველა ამაში სახელმწიფოს აძლევდენ (რევოლიუციის წინა წლებში) 166 მილიონ ლივრს, ხოლო ხალხს კი თითქმის ამაზე ორჯერ მეტს ახდევინებდენ: საიჯარო სისტემა ხალხის ცარცვა გლეჯის, ექსპლოატაციის საუკეთესო საშუალება იყო და განა ჰბ. ფინანსისტები ნებაყოფლობით აიღებდენ ხელს ასეთ მსუქან ლუკმაზე? განა შესაძლებელი იყო რომ თვით ისინი გამოსულიყვენ მის წინააღმდეგ?! არ შეიძლებოდა აგრეთვე მათ იმის ინტერესი ქონოდათ, რომ სახელმწიფოს დეფიციტები მოსპობილიყო და ამით მის დავალიანებას ბოლო მოღებოდა. ისინი მხოლოდ ერთ ნაწილს იტოვებდენ სახელმწიფოს ვალის ბარათებისას, დანარჩენ უმეტეს ნაწილს კი საკმაოთ დიდ ფასებში ასაღებდენ „საზოგადოებაში“, საშუალო და წვრილ კაპიტალისტებზე, სახვლდობრ რანტიებზე. ამნაირათ ფინანსისტები ახერხებდენ სახელმწიფოსგან ახალ-ახალი სესხის აღების დროს მთელი „რისკი“ სხვისთვის დაეტეხაა თავზე, სარგებლობა კი, რომელსაც ისინი ღებულობდენ სახელმწიფოსა და საზოგადოების ექსპლოატაციით მეტათ დიდი იყო. ყოველი ახალი სესხი უხვ სამკალს აძლევდა ფინანსისტებს. მათთვის არაფერი არ იყო ისეთი საწყენი, როგორც სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის, ანუ ბიუჯეტის, უდეფიციტოთ შედგენა, რადგან მაშინ ახალი სესხის აღება საჭირო აღარ ხდებოდა. და რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში უმაღლესი ფინანსისტთა წრეების კლასობრივი სიმპატია ძველი წყობილების, ე. ი. წოდებრივ უპირატესობაზე აგებულ სახელმწიფოს მხარეს ყოფილიყო. ისინი, მართალია, გაიძახოდენ რეფორმებია საჭიროო, მარა, ისიც უნდა ვთქვათ, ვინ არ ყვიროდა ამას რევოლიუციის წინა ხანებში? ძველი, დახავსებული არისტოკრატიაც რო ავიღოთ, ისიც კი იყო დარწმუნებული, რომ თანამედროვე მდგომარეობა აუტანელი იყო და რეფორმები აუცილებლათ უნდა მომხდარიყო; ერთი სიტყვით, არსებულ წესწყობილებით ყველა უკმაყოფილო იყო. მარა ყოველ კლასს ისეთი რეფორმები უნდოდა, რომელიც მას რაიმე სარგებლობას მოუტანდა და არა ზარალს.

მიუხედავათ ამისა ფინანსისტები, რასაკვირველია, თავისდა უნებურათ ძლიერი პოლიტიკური აგიტატორები გახდენ. სწორეთ მათი მეოხებით იყო, რომ სულ მშვიდობიანი, უწყინარი მცხოვრებლებიც კი თავისუფლებაზე ოხვრას მოყვენ. მსხვილი კაპიტალი იმ ვებერთელა არხს ემსგავსებოდა, რომელსაც ერთი მხრით სახელმწიფოს ვალდებულების ბარათები გაქონდა ხალხში და მეორე მხრით კი ხშირ ხშირი სესხებით მოტყუილებულ საშუალო და წვრილ კაპიტალს აგროვებდა სასახლის კარზე, რომელნიც შემდეგ სასახლის მსახურთა უძირო ჯიბეში უნდა გამქრალიყვენ. წვრილი და საშუალო კაპიტალისტები ნელნელა სახელმწიფოს კრედიტორებათ ხდებოდენ. ამ ჯურის ბურჟუას, სრულიადაც არ აინტერესებდა მართველობა და მისი მოქმედება. ფილისტერისთვის პოლიტიკა მეტი ბარგია, ფუჭი საქმე, რომელსაც სარგებლობა არაფერი მოაქვს, ხოლო ხანდახან ფულს და დროს კი აკარგვინებს. ის ასე მსჯელობს: ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, და იმას არ ეძებდეს, რაც მის გარშემო ხდება. პოლიტიკა მეფის საქმეაო. ფილისტერის ინდიფერენტიზმი, გულგრილობა, ყველაფერში, „რაც მას არ ეხება“, რა თქმა უნდა კიდევ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ისეთ შეუზღუდველ მონარქიაში, როგორიც იყო საფრანგეთი რევოლიუციამდის: როცა პოლიციის ორგანიზაცია კარგათ შემუშავებული იყო და პოლიტიკაში გარევა დანაშაულობათ ითვლებოდა. მარა საქმე სულ სხვარიგათ დატრიალდა, როცა ის სახელმწიფოს კრედიტორი შეიქნა და თან შიშიც დაებადა სახელმწიფო არ გაკოტრდესო. ეხლა პოლიტიკა ფუჭი საქმე აღარ იყო, პირიქით ის მეტათ დიდმნიშვნელოვანი შეიქნა და აი ბურჟუასთვისაც ყველა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საკითხებს ღრმა ინტერესი მიეცა. დიდი გამჭრიახობა არ უნდოდა იმის მიხვედრას, რომ უმთავრესი მიზეზი ასეთი საშიში მდგომარეობისა პრივილეგიებით აღჭურვილ კლასები იყვენ, რადგან ისინი იჯიბავდენ სახელმწიფო შემოსავალს და სრულიად არაფრით არ უწყობდენ ხელს მის ზრდას: ამიტომ ბურჟუა სულ ადვილათ გადავიდა უკიდურეს ოპოზიციაში: და თანასწორობისა და თავისუფლების სიყვარულით აღეგზნო. ის ოპოზიციაში უნდა ჩადგომოდა წარჩინებულთა კლასს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს კრედიტორი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ის ვაჭარი და მრეწველი იყო. როგორც ვაჭარს და მრეწველს მას არ შეეძლო სხვანაირათ მოქცეულიყო.

რადგან უმაღლესი თანამდებობები ჯარში და ფლოტში ხელში ეჭირა მარტოთ მარტო აზნაურობას, რომელიც შესამჩნევათ დაკნინებული იყო როგორც ზნეობრივათ, ისე ფიზიკურათ, ამიტომ საფრანგეთის სამხედრო ძლიერება ნელ-ნელა ეცემოდა. მე-18 საუკუნის განმავლობაში საფრანგეთს თითქმის არც ერთი ომი არ ჩაუტარებია ისე, რომ ან თავის აღებ-მიცემობა არ ჩაეგდო მეტათ საზარალო პირობებში, ან და ახალშენები არ დაეკარგა: საკმაოა მოვიგონოთ ზავი უტრეხტის (1718), აქენის (1748), პარიზის (1763) და ვერსალის (1783). ხოლო გონიერი საახალშენო პოლიტიკა ერთი უმთავრესი პირობათაგანია საგარეო აღებ-მიცემობის აყვავებისა. საშინაო აღებ-მიცემობა კი მეტათ შევიწროებული იყო სხვა-და-სხვა ძველის-ძველ ფეოდალურ უფლებებით. ზოგიერთი პროვინციები წარმოადგენდენ, ასე ვთქვათ „სახელმწიფოს სახელმწიფოში“. ისინი განცალკევებული იყვენ სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილებისაგან საკუთარი კანონებით, მმართველობით, სადამოჟნო გადასახადებით და სხვ. თუ ამაზე დავსძენთ, რომ სავაჭრო დაწესებულებები ფეოდალთა სასამართლოს ექვემდებარებოდენ, რომ ყველა იმ ადგილებისთვის, რომელიც

ვაჭრებს ეჭირათ, ბაჟს ახდევინებდენ, ხიდებზე და გზებზე გადასახადს კრეფდენ და სხვ. და სხვ., მაშინ ადვილათ გასაგები იქნება ის ფაქტი, რომ შინაური ალებ-მიცემობა საფრანგეთში თითქმის არც კი არსებობდა. საქონელი, რომელიც ჩინეთიდან და იაპონიიდან შემოქონდათ და რომელიც იმ სიშორიდან მშფოთვარე და მეკობრებით სავსე ზღვაზე იყო გამოტარებული, მხოლოდ სამჯერ თუ ოთხჯერ მეტ ფასში იყიდებოდა. ღვინო კი, რომელიც ორლეანიდან მოქონდათ ნორმანდიაში, ოცჯერ მეტათ მაინც ძვირი ჯდებოდა, რადგან გზა-გზა სხვა და სხვა ბაჟებს ახდევინებდენ. ასე განსაკუთრებულათ შევიწროებული იყო ღვინის ვაჭრობა, რომელიც საფრანგეთის მრეწველობის უმთავრეს დარგს შეადგენდა. ბორდოს მიდამოების მევენახეებს, მაგ. აღკრძალული ქონდათ ამ ქალაქში, თუ არ თავისავე ბაღში მოწეულის, სხვა ღვინით ვაჭრობა. ამ გვარათ ღვინით უმდიდრეს ადგილებს: ლანგდოკს, პერიგორს, აუენუას, კერსის, რომელთა წყლები ბორდოს გვერდზე ჩადიოდენ, თავიანთი ჭირნახულის გასაღების უფლება ჩამორთმეული ქონდა ბორდოს მევენახეების სასარგებლოთ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთში მიმოსვლის საქმე მეტათ ცუდ მდგომარეობაში იყო. გზების შესაკეთებლათ სახელმწიფო არაფერს იძლეოდა და ჩვეულებრივი საგლეხო ბეგარით კი მათი რიგიანათ შენახვა არ შეიძლებოდა. ალებ-მიცემობის ასაყვავებლათ საჭირო იყო აზნაურთა პრივილეგიების მოსპობა, ფლოტის და ჯარის რეორგანიზაცია, ცალკე პროვინციების პარტიკულიარიზმის მოსპობა, შინაურ საქონელზე დადებულ ბაჟის გაუქმება, მეფისგან იყო იგი დადგენილი თუ ფეოდალისაგან, ერთი სიტყვით, ვაჭრობის ინტერესი თხოულობდა „თანასწორობას და თავისუფლებას“.

მარა მარტო ვაჭრები არ იყვენ ამ დევიზის თაყვანისმცემლები. რევოლიუციის წინა ხანებში სახელმწიფოს თავის გამდიდრების საუკეთესო საშვალებათ ვაჭრობა-მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მონოპოლიზაცია ქონდა, ან კიდევ ამ მონოპოლიის რამდენიმე ბედნიერ პირთათვის მიყიდვა, ე. ი. მათთან ერთათ იმ შემოსავლის განაწილება, რომელიც მომხმარებელ საზოგადოების უსაზღვრო ექსპლოატაციისაგან შამოდიოდა. ყველაზე უფრო ხელსაყრელი ამ მხრით კოლონიების დიდი სავაჭრო საზოგადოებების მონოპოლია იყო. ამასთანავე სხვა-და-სხვა ქალაქებში არსებობდა კიდევ სავაჭრო მონოპოლიები, რომელიც ამქრების მსგავსათ მოწყობილ სხვა-და-სხვა კორპორაციებს ეკუთვნოდა. ერთი ასეთი კორპორაცია ტიურგოს რეფორმებსაც გადაურჩა. ეს იყო ღვინით მოვაჭრეთა ცეხი პარიზში. გასაკვირველი არაა, რომ ის ხალხი, რომელიც ამ პრივილეგიებით სარგებლობდა, თუმცა თვითონ მესამე წოდებას ეკუთვნოდა, მარა მაინც სახელმწიფოს ძველ წყობილების მომხრე იყო. მრეწველობა-ვაჭრობაზე არა ნაკლებ შევიწროებული იყო. ძველი რეჟიმით. მთავრობას ეს, რასაკვირველია, მითი კი არ მოსდიოდა, რომ მისი მოსპობა სურვებოდეს, წინააღმდეგ, ის ყოველი ღონით ცდილობდა მფარველობა გაეწია მისთვის. კაპიტალისტური წარმოების აყვავება სახელმწიფოს სიმდიდრის ერთ უმთავრეს წყაროთ ითვლებოდა და ამიტომაც მას მფარველობას და დახმარებას უწევდენ. რადგან ხელოსანთა ამქრები ყოველი ღონით ცდილობდენ სხვა-და-სხვა დაბრკოლებები დაედვათ წინ კაპიტალისტური წარმოებისთვის, რომლის მეტოქეობა მათ მეტათ არა სასიამოვნოთ ურჩებოდათ, ამიტომ მეფეებმა მიიღეს ის თავის საკუთარ მფარველობის ქვეშ. ამქრების მოსპობა და ამ ნაირათ მათგან ყოველივე დაბრკოლების სამუდამოთ თავიდან მოშორება, მეფეებს, რასაკვირველია, ფიქრშიაც არ მოსდიოდათ, რადგან, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ამქრობის მოსპობით ისინი კარგ შემოსავლის წყაროს დაკარგავდენ. სამაგიეროთ ისინი აძლევდენ სხვა-და-სხვა მანუფაქტურებს ღრამოტებს, რომლის ძალით უკანასკნელნი თავისუფალი ხდებოდენ გადასახადებასაგან და სხვა-და-სხვა ამქრული და ფეოდალური ზღუდეებისაგან. ასეთ პრივილეგია—მოპოვებულ მანუფაქტურას „კოროლის მანუფაქტურას“ ეძახდენ. მეფეები ამით არ კმაყოფილდებოდენ. რომ მანუფაქტურას საუკეთესო ღირსების საქონელი ეწარმოებია, მწარმოებელი ვალდებული იყო სცოდნოდა საუკეთესო წესი წარმოებისა და ასეთი წესის შემოღება და ხმარება სავალდებულო იყო ყველასათვის განსაკუთრებულ რეგლამენტების ძალით, შესაძლებელია, მანუფაქტურულ წარმოების პირველ დასაწყებით ხანაში ასეთი ზომები სასარგებლოც იყვენ მისთვის, მარა საქმე სულ სხვაგვარათ დატრიალდა მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა სამანუფაქტურო წარმოება სწრაფათ გაიზარდა და განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ახალი წარმოებისათვის მეტათ ხელის შემშლელი იყო ის გარემოება, რომ მხოლოდ მეფის მიცემულ პრივილეგიას შეეძლო მისი დაცვა ხელოსანთა ამქრების შევიწროებისა და საჩივრებისაგან. ყოველგვარი რეგლამენტები კი პირდაპირ აუტანელი შეიქნა. იმის მაგიერ, რომ წარმოების საუკეთესო წესის გავრცელების საშვალება ყოფილიყო, ის ახლა ძველ, გამოუდეგარ წესის შერჩენის საშვალებათ გადაიქცა. მე-18-ე საუკუნის მესამოცე წლებში დაიწყო ტეხნიკური რევოლიუცია, რომელმაც მანუფაქტურა ქარხანით შესცვალა და შექმნა ჩვენი დროის მსხვილი წარმოება. წინეთ, მანუფაქტურულ წარმოებაში წარმოების წესი და იარაღები მეტათ იშვიათათ იცვლებოდა. ეხლა კი ყოველ ახლათ აღმოჩენილი იარაღი სულ მალე იდევნებოდა უფრო ახალი იარაღებით. ეს გაუმჯობესებული და ახალი საშვალებები ინგლისში დაუყოვნებულივ შედიოდა მოქმედებაში და რომ საფრანგეთს შეძლებოდა ინგლისთან მეტოქეობის ატანა, ისიც არ უნდა ჩამორჩენოდა ტეხნიკურ პროგრესს.

ამ ნაირათ ბიუროკრატიული რეგლამენტების და ამქრული ზღუდეების მოსპობა წაგებ-მოგების საკითხი კი აღარ იყო, არამედ ეს იყო საკითხი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საფრანგეთის კაპიტალისტური წარმოების სიკვდილი ან სიცოცხლე. მარა ტყუილათ ცდილობდა ტიურგო (1776 წ.) ამ ძველი ნაშთების მოსპობას. „უპირატესმა“ წოდებამ კარგათ იცოდა, რომ რაკი რეფორმა ერთხელვე დაიწყებოდა, ის მერე აღარ შეჩერდებოდა. ამიტომ მათ დასცეს ტიურგო და ამნაირათ ჩაფუშეს რეფორმების საქმე. მსხვილი წარმოების შემხუთავი ჯაჭვების დასამსხვრევათ ერთი გზა ღა დარჩა: რევოლიუცია.

მწარმოებელ კაპიტალისტების არა მცირედი რიცხვი იყო დაინტერესებული დაეცვა ძველი რეჟიმი თავის პრივილეგიებიანა. კაპიტალისტური წარმოება, ისე როგორც ვაჭრობა, თავდაპირველათ უმთავრესათ მდიდართა მოთხოვნილების—ფუფუნების—დამაკმაყოფილებელი იყო, მით უმეტეს, რომ ეს წარმოება მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და, შეიძლება ვთქვათ, მარტო სასახლისთვის არსებობდა. საფრანგეთის მანუფაქტურა აწარმოებდა აბრეშუმეულობას, ხავერდს, არშიებს, ნოხებს, ფარფორს, პურს, ქაღალდს, (ასი წლის წინეთ ქაღალდი ჯერ კიდევ მხოლოდ მდიდართა ხელმისაწდომი იყო) და სხვ... ყველა ეს საქონელი უმთავრესათ სასახლის აზნაურებისა და უპირატეს წოდებაში საღდებოდა. მათი შემოსავლის შემცირება მწარმოებელ კაპიტალისტების ერთი ნაწილისთვის დიდათ საზიანო იყო და იმიტომ რევოლიუცია მათ შორის მაინც და მაინც დიდ სიმპატიას არ იწვევდა. ფრიად შესანიშნავია შემდეგი ფაქტი: როცა 1793 წელში რევოლიუციის მოწინააღმდეგეებმა იარაღს მოკიდეს ხელი, ამ საქმეს ყველაზე ჩამორჩენილ ვანდეასთან ერთათ, რომელშიაც სავსებით იყო

დარჩენილი ფეოდალური მეურნეობა, სათავეში დაუდგა ლიონი, პირველი სამრეწველო ქალაქი სახელმწიფოში, შესანიშნავი თავის აბრეშუმის და ოქროს ქსოვილების წარმოებით. ჯერ კიდევ 1790 წელში აქაურმა სასულიერო წოდებამ და აზნაურობამ სცადეს აჯანყების მოხდენა, და ამის შემდეგაც დიდხანს ეს ქალაქი კატოლიციზმის და ლეგიტიმიზმის უმთავრეს სიმაგრეს წარმოადგენდა. 1795 წელშიაც, როცა იაკობელების ბატონობა დაეცა, პარიჟის ბურჟუაზია სრულიადაც არ ფარავდა თავის როიალისტურ ჲ ანტირესპუბლიკურ სიმპატიებს. მარტო მის ნებაზე რომ ყოფილიყო საქმე დამოკიდებული, ის მაშინვე აღადგენდა ლეგიტიურ მონარქიას და არისტოკრატ-ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებაზედაც იზრუნებდა.

---

დრ. რედაქტორი     გამომცემელი
ნ. ი. ალექსეევ-მესხიევი.     ა. მ. თ.-წერეთლისა.

---


# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

1) „ლევან ბატონიშვილი“

თხზულება თ. ხუსკივაძისა. ფასი 10 კაპ.

2) „ჯიანეტა“

თარგ. ა. ი. ნიკოლაძისა. ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კიოსკიდან (ქ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემბრიდან 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30% დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა, ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) „საქართველოს ისტორია“ ბარათაშვილისა I და II ნაწ. დი დ) თხზ. გრ. აბაშიძისა—40% დაკლებით. იბეჭდება და მალე გამოვა გ. წერეთლის თხზულებების. III ტო

საყმაწვილო ნ სატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი   **დამდეგ 1904 წელსაც**   მეხუთმეტე

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდან დაიწყება ბეჭდვა ინგლისელ მწერლის მარკ-ტვენის მოთხრობისა: **ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი**. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურიგდება პრემიათ

**დასურათებული ზღაპრების კრებული**

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მან., ქალაქ გაგარეთ 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა № 5).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, редак. грузинск. дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ორ-კვირეული გამოცემა ქართული

„მწყემსი“

(წელიწადი მეოცდაერთე)

და რუსული

„ПАСТЫРЬ“

(წელიწადი მეცხრამეტე)

**ჟურნალის ფასი:**

ერთი წლით «მწყემსი» 3 მ., სამკურნალო ფურცლის დამატებით—4 მ., 6 თვით—2 მ. ერთი წლით რუსული 3 მ., 6 თვით—2 მ., ორივე გამოცემა ერთი წლით 5 მ., 6 თვით—3 მ.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში—ბ. ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала «МЦКЕМСИ» и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ. აგრეთვე მოიპოვება სხვადასხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

---

**დამდეგ 1094 წელს**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს, იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1-ლ თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიათ გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის რომანი

**აღდგომა**

(Воскресеніе)

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოთ: სოფლის მასწავლებლებს, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: „ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №117 ჲ 118)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИВЕРІА“.

**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

# „ცნობის ფურცელი“

**სურათებიანი დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

| | |
|---|---|
| კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით 6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვ.—50 კ. | საზღვარ-გარეთ: 1 წლით 9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.
წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან. დანარჩენი 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

# „მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა

| | |
|---|---|
| კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით 10 მ., 6 თვით—6., 3 თვ.—3 მ. | საზღვარ-გარეთ: 1 წლით 13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან. |

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—6 მ. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1 ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

## ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება გურიიდან. სურათები იქნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

ორი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ

**ორივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

> წლიური ფასის გარდა ქალაქ გარეთ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნათ, რედაქციის ფოსტის ხარჯათ 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩ.ზე. ტელეფონი № 372.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

## Открыта подписка на 1904 г.

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ

# „Журналъ для всѣхъ“

*Контора и редакція: С.-Петербургъ. Невскій, 88.*

**Цѣна ОДИНЪ руб. въ годъ съ пересылкой.**

**За границу ДВА рубля.**

Въ виду низкой подписной платы, не позволяющей дѣлать никакихъ скидокъ, лица, подписывающіяся не въ конторѣ редакціи (СПБ., Невскій, 88), благоволятъ уплачивать комиссіонныя, для пересылки денегъ въ редакцію.

Въ конторѣ имѣется журналъ за 1899 и 1900 г.г. цѣна каждаго экземпляра 1 р. 50 к. съ пересылкой. Изданія 1901 г. и 1902 г. разошлись.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА
## на 1904 годъ

на ежедневную политическую и литературную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ.

(XXI-й годъ изданія)

## Изданіе газеты будетъ возобновлено СЪ 15 ЯНВАРЯ 1904 Г.

Подписчики нынѣшняго года, какъ городскіе, такъ и иногородные, желающіе подписаться на будущій годъ, вносятъ 6 руб. за годъ и 3 руб. за полгода. Новые же подписчики на обычныхъ основаніяхъ вносятъ 7 р. за г. и 4 р за полгода.

Годовые подписчики нынѣшняго года, нежелающіе возобновить подписку на будущій годъ, могутъ получить въ конторѣ газеты 88 коп. за недосланные №№ этого года.

Допускается **разсрочка платежа**: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 р.

Лицъ, желающихъ подписаться, контора проситъ увѣдомить ее о томъ и внесити плату **заблаговременно**, по возможности не позже декабря, чтобъ успѣть заготовить адреса.

Подписка принимается **въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Борятнеская ул. д. № 8.**

## Открыта подписка на 1904 годъ

(XII-ый годъ изданія)

**на ежемѣсячный литературный и научный журналъ**

# „РУССКОЕ БОГАТСТВО“

ИЗДАВАЕМЫЙ

## Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

**Подписная цѣна:**

| | |
|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой | 9 р. |
| Безъ доставки въ Петербургѣ и въ Москвѣ | 8 „ |
| За границу | 12 „ |

**Въ С. Петербургѣ**—въ конторѣ журнала баскова ул., 9.

**Въ Москвѣ**—въ отдѣленіи конторы—Никитскія вор., д. Гагарина.

**Желающіе воспользоваться разсрочкой подписной платы** (за исключеніемъ книжныхъ магазиновъ и др. коммисіонеровъ по пріему подписки, отъ которыхъ подписка въ разсрочку не принимается) должны обращаться **непосредственно** въ контору редакціи или въ Московское отдѣленіе конторы

**Условія подписки въ разсрочку:**

При подпискѣ 5 р. и къ 1-му іюля 4 р., или при подпискѣ 3 р., къ 1-му апрѣля 3 р. и къ 1-му іюля 3 р.

*Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылки журнала прекращается.*

Доставляющіе подписку книжные магазины, земскіе склады и управы, частныя и общественныя библіотеки, потребительныя общества, газетныя бюро, комитеты или агенты по пріему подписки въ разныхъ учрежденіяхъ могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ по 40 коп. съ каждаго экземпляра. т. е. присылать, вмѣсто 9 рублей, 8 руб. 60 коп., только при передачѣ сразу полной годовой платы.

Подписка въ разсрочку или не вполнѣ оплачнная 8 р. 60 к. отъ нихъ не принимается до полученія недостающихъ денегъ, какъ бы ни была мала удержанная сумма.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 31-го Декабря 1903 г. Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ д. армянск. дух. семинаріи.